

**რეგიონული განვითარების შესახებ
ცოდნა და გამოცდილება –
თარგმანების სერია**

რეგიონული განვითარების პოლიტიკის
მიმართულებები ეკონომიკური
თანამშრომლობისა და განვითარების
ორგანიზაციის (OECD/ეთგო) წევრ ქვეყნებში

კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრის (CTC) მიერ მომზადებულია სტატიების კრებული: „**რეგიონული განვითარების შესახებ ცოდნა და გამოცდილება - თარგმანების სერია**“.

წინამდებარე სტატია წარმოადგენს პუბლიკაციის: **რეგიონული განვითარების პოლიტიკები ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში** (OECD, *Regional Development policies in OECD Countries*, 2010) ამონარიდს და თარგმანების სერიის ერთ-ერთი ნაწილია.

თარგმანი: ნათია ნადირაძე

რედაქტირება: ნინო ბექიშვილი

გრაფიკული დიზაინი: რევაზ აფხაზავა

შინაარსი

1.	თავი	1
	შესავალი	2
	პრობლემის გაცნობიერება და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები .	2
	საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები	2
	მმართველობა	3
1.1.	პრობლემის გაცნობიერება და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები	4
	რეგიონული განვითარების პოლიტიკის პარადიგმის შეცვლა/ცვლილება	4
	პრობლემის გაცნობიერება	7
	რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები	8
1.2.	სამმართველო და ინსტიტუციური ჩარჩოები	10
	პოლიტიკის ძირითადი ჩარჩოები	10
	უზრუნველყოფის/რეგულაციური პოლიტიკის ჩარჩოები	11
	სივრცითი ორიენტაცია	14
	პოლიტიკის ინსტრუმენტები, რასაც წვლილი შეაქვს რეგიონული პოლიტიკის ამოცანებში	15
	ბიუჯეტი: სისტემა და მოცულობა	16
1.3.	მმართველობა	20
	ცენტრალური ხელისუფლების და კორიგონტალური მმართველობის როლი ცენტრალურ დონეზე	20
	ფერტიკალური მმართველობა: მრავალდონიანი მმართველობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე	24
	კორიგონტალური მმართველობა რეგიონულ დონეზე: რეგიონული დონის სტრატეგიული დაგეგმვა	31
	რეგიონულ დონეზე დაკონცენტრირებული ხელისუფლების მზარდი როლი	34
	შეფასება და მონიტორინგი: ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება	39
	სამომავლო მიმართულებები	40
	დასკვნები და შემდგომი კვლევის სფეროები: პოლიტიკის ინდიკატორების შემუშავების მიმართულებით	42

1. თავი

პირველ თავში შეჯამებულია რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიმართულებები OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში დაწყებული პრობლემის გაცნობიერებით (პრობლემა, ან გამონაკვეთი, რომელსაც გაცნობიერებული/აღიარებულია ქვეყნის მიერ) და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანებით, რასაც მოსდევს სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვა პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტების ჩათვლით, მიმოხილულია ურბანული/რურალური ჩარჩო პოლიტიკა და საბიუჯეტო სისტემა. დასასრულს, წარმოდგენილია ინსტიტუციური ასპექტები, როგორცაა მრავალდონიანი და კორიფონტალური მმართველობა. ანალიზი რეგიონულ პოლიტიკას მნიშვნელოვან როლს ანიჭებს მდგრადი და სიღრმისეული განვითარების პროცესში. აღსანიშნავია მმართველობის კარგად განვითარებული იმ მუხანგების საჭიროება, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია სხვადასხვა რეგიონის განსხვავებულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნებზე უკეთესი რეაგირება პოლიტიკის ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით.

შესავალი

პუბლიკაცია მიზნად ისახავს წარმოდგინოს OECD/ეთგო წევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების პოლიტიკათა შედარებითი პერსპექტივა. ინფორმაციის გადმოცემა კი განზრახულია იოლად გასაგები შედარების ხერხით, თითოეული ქვეყნისთვის ერთი და იგივე დასათარების გამოყენებით. მოყვანილი ინფორმაცია ეყრდნობა OECD/ეთგო ტერიტორიული განვითარების პოლიტიკის კომიტეტის (TDPC) დელეგატების მიერ მოწოდებულ მონაცემებს, OECD/ეთგო ტერიტორიულ მიმოხილვას, აკადემიურ ტექსტებს და რეგიონული განვითარების საკითხებზე პასუხისმგებელი სამინისტროების ვებგვერდებს.

პუბლიკაცია გაყოფილია ორ თავად რამდენიმე დანართითურთ. პირველ თავში განხილულია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიმართულებები. მეორე თავში კი მოყვანილია პოლიტიკის ინდექსის ცხრილი და თითოეული ქვეყნის პროფილი. დანართი A მოკლედ განმარტავს ევროკავშირის კოჰესიის (უთანაბრობის აღმოფხვრის) პოლიტიკას. B და C დანართებში წარმოდგენილია თემატური საკითხები: სასაზღვრო თანამშრომლობის მიმართულებები და ურბანული და რურალური კავშირები ქალაქების ქალაქური გაფართოების კონტროლის გათვალისწინებით.

OECD/ეთგო-ს სამდივნომ შეადგინა ქვეყანათა პროფილები OECD/ეთგო ტერიტორიული მიმოხილვის ძირითად ნაწილზე დაყრდნობით. ეს მასალა დაურვიდა TDPC დელეგატებს შემდეგ კითხვებთან ერთად.

პრობლემის გაცნობიერება და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები

- პრობლემის გაცნობიერება: რა გამოწვევების წინაშე დგანან რეგიონები (მაგ: რეგიონული უთანასწორობა ან/და დაბალი კონკურენტუნარიანობა)?
- რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები: რეგიონული პოლიტიკის რომელი ძირითადი ამოცანებია ასახული სტრატეგიული დაგეგმარების დოკუმენტებში ან რეგიონული განვითარების ძირითად აქტში? კონკურენტუნარიანობა? რეგიონული ბალანსი?

საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები

- საკანონმდებლო/ინსტიტუციური ჩარჩო: რა არის პოლიტიკის ძირითადი ჩარჩო (მაგ: ეროვნული ინსტიტუციური სტრუქტურა, რეგიონული განვითარების ძირითადი აქტი/დოკუმენტი)?
- რაში მდგომარეობს ურბანული/რურალური პოლიტიკის ჩარჩო?
- რა არის სივრცითი ორიენტაცია: ურბანული/რურალური, პოტენციური სივრცე/პრობლემური სივრცე?
- პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები: რა არის რეგიონული პოლიტიკის ამოცანების ხელშეწყობის ძირითადი ინსტრუმენტები (მაგ: გრანტები, სესხები, კლასტერული პოლიტიკა, ჩამორჩენილი ზონების დახმარება)?
- ბიუჯეტი: რომელი საჯარო რესურსები უკავშირდება რეგიონული განვითარების პოლიტიკას? რა სისტემით და მოცულობის ტრანსფერით ეხმარება სახელმწიფო სუბრეგიონულ მთავრობებს?

მმართველობა

- **ჰორიზონტალური მმართველობა:** რა სახის საკოორდინაციო პოლიტიკა არსებობს ცენტრალურ დონეზე (მაგ: სამინისტროთაშორისი კომიტეტები, ან ცალკე რეგიონული განვითარების სამინისტრო?)
- **ვერტიკალური მმართველობა:** რა სახის მრავალდონიანი მმართველობა არსებობს ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე (მაგ: კონტრაქტები, ცენტრალური და სუბნაციონალური ოფიციალური პირების ერთობლივი წარმომადგენლობა)?
- **ჰორიზონტალური მმართველობა ეროვნულ დონეზე (სექტორშორისი):** რა სახის სექტორშორისი კოორდინაციის პოლიტიკა არსებობს რეგიონულ დონეზე (მაგ: რეგიონული საბჭოები, რეგიონული დაგეგმარება)?
- **შიდარეგიონული მმართველობა:** რა სახის კოორდინაციის პოლიტიკა არსებობს რეგიონულ (გეოგრაფიული) დონეზე? რა საპასუხო ზომებია მიღებული ფუნქციური სივრცის გაფართოების საჭიროებათა, ან საჯარო სერვისების მიწოდების მიმართულებით (მაგ: მუნიციპალიტეტების შერწყმა, ინტერმუნიციპალური ორგანიზაციები)?
- **შეფასება და მონიტორინგი:** შემუშავებულია თუ არა რეგიონული პოლიტიკის შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა?
- **სამომავლო მიმართულებები:** როგორია რეგიონული განვითარების პოლიტიკის დღის წესრიგის/პროგრამის ძირითადი პრიორიტეტები (მაგ: დეცენტრალიზაციის რეფორმა, მუნიციპალიტეტების შერწყმა, რეგიონული დონის მმართველობის შექმნა, სივრცითი დაგეგმარების რეფორმა, სახელმწიფო გრანტების რეფორმა, მზარდი აქცენტი რეგიონული პოლიტიკის „მდგრადობაზე“)?
- (მხოლოდ ევროკავშირის ქვეყნებისთვის) რა გავლენა აქვს ევროკავშირის პოლიტიკას? როგორ მიმდინარეობს ევროკავშირის პოლიტიკის იმპლემენტაცია?

ძირითადად ქვეყნების პროფილებზე (იხ. თავი2) OECD/ეთგო (2009a) და იულისა და სხვების (Yuill *et al*/2008) ნაშრომზე დაყრდნობით OECD/ეთგო-ს სამდივნომ შეაჯამა OECD/ეთგო წევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიმართულებები დაწყებული პრობლემის გაცნობიერებით (პრობლემა, ან გამოწვევა, რომელიც გაცნობიერებული/აღიარებულია ქვეყნის მიერ) და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანებით, გაგრძელებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვით, პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტების, ურბანული/რურალური პოლიტიკის ჩარჩოს და საბიუჯეტო სისტემის ჩათვლით. დასასრულ, წარმოდგენილია ინსტიტუციური ასპექტები, როგორცაა მრავალდონიანი და ჰორიზონტალური მმართველობა. ანალიზი მოიცავს პოლიტიკათა შორის ხარისხობრივ სხვაობათა შესახებ მსჯელობასაც/მოსაზრებებსაც.

1.1. პრობლემის გაცნობიერება და რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები

რეგიონული განვითარების პოლიტიკის პარადიგმის შეცვლა/ცვლილება

OECD/ეთგო წევრ უმეტეს ქვეყნებში რეგიონული პოლიტიკის განხორციელება დაიწყო 1950-იან და 1960-იანებში, როცა იდგა შედარებით მყარი ეკონომიკური ზრდის, ფისკალური ექსპანსიის/გაფართოების და დაბალი უმუშევრობის პერიოდი. რეგიონული პოლიტიკის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა მეტი სამართლიანობა და სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პირობებში დაბალანსებული განვითარება, რასაც თან ახლდა რეგიონებს შორის მზარდი უთანასწორობა. თეორიულად, იგულისხმებოდა, რომ სახელმწიფოს ჩარევას უნდა შეეცვალა ჩამორჩენილი რეგიონების მდგომარეობა. მთავარ ინსტრუმენტად გამოყენებული იყო სიმდიდრის გადანაწილება ფინანსური ტრანსფერების მეშვეობით ეროვნული მთავრობების მიერ, რასაც თან ახლდა ფართომასშტაბიანი საჯარო ინვესტიციები, განსაკუთრებით - ჩამორჩენილ რეგიონებში.

1970-იანებსა და ადრეულ 1980-იანებში გლობალური ეკონომიკის ცვლილებებმა და ერთმანეთზე მიყოლებულმა ეკონომიკურმა შოკებმა OECD/ეთგო წევრ ბევრ ქვეყანაში უმუშევრობის გეოგრაფიული კონცენტრაცია გამოიწვია და ახალი გამოწვევის პასუხად მყისიერად შემუშავდა რეგიონული პოლიტიკა. შემოსავლებსა და ინფრასტრუქტურაში არსებული უთანაბრობის შემცირებიდან აქცენტი გაფართოვდა და უთანასწორობის შემცირება და დასაქმებაც მოიცვა. იმ დროისთვის წამყვანი პოლიტიკის თეორიული ვარაუდი იყო, რომ საჯარო პოლიტიკა შეძლებდა შეეცვალა მიწოდების პირობები (უმთავრესად, სუბსიდირების და სტიმულირების გზით პროდუქციის ღირებულების განმსაზღვრავი ფაქტორების ცვლილების ხარჯზე) და ამგვარად, მოახერხებდა გავლენის მოხდენას ინდუსტრიული დასახლებების გადანაცვლებებზე არსებულ ფირმებთან და ახალ ინვესტიციებთან დაკავშირებით. ამ მიდგომამ გაზარდა აქცენტი ფირმების პირდაპირ ხელშეწყობაზე მიმდინარე აქტივობების მხარდაჭერის, ან უმუშევრობის შავი ლაქების ამოსავსებად ახალი სამუშაოსა თუ ინვესტიციის მოზიდვით.

უშუალოდ ომისშემდგომი პერიოდიდან გვიან 1980-იანებამდე რეგიონული პოლიტიკა უმთავრესად მიმართული იყო რეგიონული ინვესტიციების ხელშეწყობისა და ინფრასტრუქტურის მხარდაჭერისკენ და პოლიტიკის ინტერვენცია მიზნად ისახავდა კონკრეტული (მეტწილად ჩამორჩენილი) რეგიონების დახმარებას (OECD, 2009a). ევროკავშირის პირობებში, ევროკავშირის კოჰესიის (უთანაბრობის აღმოფხვრის) პოლიტიკა 1980-იან წლებამდე უმთავრესად მიმართული იყო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. თეორიულად ივარაუდებოდა, რომ დასაბუთებული რეგიონული პოლიტიკის პირობებში შერწყმა ყოველთვის არ იყო დაზღვეული ბაზრის მექანიზმებით.

თუმცა, მიუხედავად სახელმწიფოს ხანგრძლივი მცდელობებისა, რეგიონული უთანასწორობა მნიშვნელოვნად არ შემცირებულა. მზარდი გლობალიზაციის ნიადაგზე, 1980-იანი წლებიდან მოყოლებული, დეცენტრალიზაციისა და ბიუჯეტის შემცირების ფონზე, რეგიონული პროგრამებისთვის გულუხვი ასიგნებები არამდგრადი გახდა გამუდმებული ეკონომიკური რეცესიის, ზოგადად, უმუშევრობის მაღალი დონის და საჯარო დანახარჯებზე მზარდი წნეხის პერიოდში. ამ არასასურველ შედეგებზე რეაგირებისას, ბაზრის ჩავარდნის

კლასიკურ მტკიცებულებებს დაემატა არგუმენტი, რომ მარცხი განიცადა პოლიტიკამაც, რასაც მოჰყვა შემოთავაზება პოლიტიკის შექმნისას ახალი მიდგომების გამოყენების შესახებ. რეგიონული პოლიტიკა ზემოდან ქვემოთ მიმართული სუბსიდიარობაზე დაფუძნებული, რეგიონული უთანასწორობის შემცირებისთვის შექმნილი ინტერვენციების ნაკრებიდან გარდაიქმნა გაცილებით ფართო პოლიტიკად, რომელიც შექმნილი იყო „რეგიონული კონკურენტუნარიანობის“ გასაუმჯობესებლად. ეროვნული ხელისუფლებები გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობენ რეგიონულ განვითარებას გადანაწილების მეშვეობით ნაციონალური თუ რეგიონული კონკურენტუნარიანობის და დაბალანსებული ეროვნული განვითარების მისაღწევად. გაფართოვდა ტერიტორიული განვითარების ინსტრუმენტების მასშტაბიც. მათ შორის მხარდაჭერილ რეგიონებშიც და ის მოერგო რეგიონების ინდივიდუალურ მოთხოვნებს. პოლიტიკის შემუშავების ეს მიდგომა მოიცავს რეგიონულ დონეზე დეცენტრალიზაციის მზარდ მიმართულებას. პროგრამებისა და პროგრამირების რეგიონული სტრატეგია მნიშვნელოვნად გაიზარდა და ასახა პოლიტიკის ზოგადი ცვლილება ენდოგენური განვითარების და ბიზნეს გარემოს მხარდაჭერის, რეგიონული პოტენციალისა და შესაძლებლობების გაზრდის მიმართულებით, რაც მიზნად ისახავს ინოვაციური ინიციატივების მხარდაჭერას.

მრავალდონიანი მმართველობის მიდგომა მოიცავს ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ხელისუფლებებს, ასევე მესამე მხარეთა ჩართულობას (მაგ: კერძო პირები, ან არასამთავრობო ორგანიზაციები). ამ მიდგომის მნიშვნელობა წინა - ცენტრალური ხელისუფლებების მიერ ინიცირებულ მიდგომებთან შედარებით გაზრდილია. ამავდროულად, სექტორული პოლიტიკის ურთიერთდამოკიდებულებათა უკეთ გაცნობიერებამ და რეგიონებზე ზეგავლენამ ხელი შეუწყო სექტორშორის პოლიტიკათა თანამშრომლობას. (Yuill *et al.*, 2008). ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, როცა რეგიონული პოლიტიკა მარგინალური იყო, ის ახლა OECD/წევრი ქვეყნების პოლიტიკის მთავარი ელემენტი გახდა. ერთიანი რეგიონული პოლიტიკა სულ უფრო მეტად მოიაზრება ეროვნული ეკონომიკის და სტრუქტურული პოლიტიკის დამატებად და ხელს უწყობს რეგიონებში განვითარების გენერირებას. ამგვარად, რეგიონული განვითარების პოლიტიკის პარადიგმის ცვლილება მოიცავს ახალ ამოცანებს, ახალ გეოგრაფიულ მასშტაბს, ახალ მმართველობას და პოლიტიკის ახალ ინსტრუმენტებს. (ცხრილი 1.1.).

პარადიგმის შეცვლა/ცვლილება მიმდინარე გარდამავალი პროცესია, რაც დროს მოითხოვს. „ძველი“ და „ახალი“ პარადიგმების თანაარსებობა შესაძენევია OECD/ეთგო წევრი ქვეყნების უმრავლესობაში. რეგიონული პოლიტიკა, რომელიც ახალ პარადიგმას ეყრდნობა, შედარებით უფრო ახალია, ვიდრე ძველ პარადიგმასა და სექტორულ პოლიტიკაზე დაფუძნებული რეგიონული პოლიტიკა. როგორც ქვემოთაც არის განმარტებული, მრავალმა ქვეყანამ ჩართო ახალი პარადიგმა პოლიტიკის ამოცანებში, მაგრამ მისი იმპლემენტაცია კვლავ გამომწვევად რჩება. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ პოლიტიკის ცვლილებას თან არ ახლავს ცვლილებები მისი განხორციელების ინსტრუმენტებში. მსგავს შემთხვევებში, ცვლილება უმთავრესად თეორიულია და რეალურ სამყაროზე დიდ გავლენას ვერ ახდენს.

ცხრილი 1.1. რეგიონული განვითარების პოლიტიკის პარადიგმის შეცვლა/ცვლილება

	ძველი პარადიგმა	ახალი პარადიგმა
პრობლემის გაცნობიერება	რეგიონული უთანასწორობა შემოსავლებში, ინფრასტრუქტურულ ბაზასა და დასაქმებაში	რეგიონული კონკურენტუნარიანობის ნაკლებობა, რეგიონის პოტენციალის არასაკმარისი გამოყენება
ამოცანები	სამართლიანობა დაბალანსებული რეგიონული განვითარების გზით	კონკურენტუნარიანობა და სამართლიანობა
პოლიტიკის ზოგადი ჩარჩო	დროებითი კომპენსაცია ადგილმდებარეობის შესაბამისად ჩამორჩენილი რეგიონების ნაკლოვანებები: რეაგირება შოკებზე (მაგ: ინდუსტრიულ ვარდნაზე), (პრობლემების მიმართ რეაქტიული მიდგომა) რეაქტიული აქცენტი პრობლემებზე	გამოყენებული რეგიონული პოტენციალის ამოქმედება რეგიონული პროგრამირების მეშვეობით (პოტენციალის მიმართ პროაქტიული მიდგომა) პროაქტიული აქცენტი პოტენციალზე
საკითხის მასშტაბი	სექტორული მიდგომა აქტორთა შებენილი არჩევანით/რაოდენობით	ინტეგრირებული და ყოვლისმომცველი განვითარების პროექტები პოლიტიკის ფართო მასშტაბით
სივრცითი ორიენტაცია	აქცენტი ჩამორჩენილ რეგიონებზე	აქცენტი ყველა რეგიონზე
პოლიტიკის განხორციელების/ინტეგრაციის ერთეული	ადმინისტრაციული სივრცე	ფუნქციური სივრცე
დროითი განზომილება	მოკლევადიანი	გრძელვადიანი
მიდგომა	ყველას მიმართ ერთგვარი მიდგომა	კონტექსტიდან გამომდინარე (ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული) მიდგომა
ფოკუსირება/აქცენტი	ცენტრიდან ქვედა დონისკენ (ხშირად კერძო ფირმებისკენ) მიმართული ინვესტიციები, ტრანსფერები, სუბსიდიები და სახელმწიფო შემწეობა	სიღრმისეული/ადგილობრივი/შიდა აქტივები და ცოდნა. შერეული ინვესტიციები მატერიალური და არამატერიალური კაპიტალის გამოყენებით (ბიზნეს გარემო, შრომის ბაზარი, ინფრასტრუქტურა)
მონაწილენი/აქტორები	ცენტრალური ხელისუფლება	ხელისუფლების სხვადასხვა დონეები სხვადასხვა მონაწილე მხარე /პარტნიორები (საჯარო, კერძო, არასამთავრობო ორგანიზაციები)

პრობლემის გაცნობიერება

პრობლემის გაცნობიერება OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში ნაჩვენებია გრაფიკში 1.1. და ეყრდნობა ცხრილი 1.1.-ის კლასიფიკაციას. უმეტეს ქვეყნებში სოციალ-ეკონომიკური უთანაბრობა განაგრძობს არსებობას, თუმცა, არის განსხვავებები მის ინტენსივობასა და პრობლემების აღქმადობაში. ზოგიერთ ქვეყანაში უთანასწორობა მიჩნეულია შედარებით შემოფარგლულად. ამასთან, არ არის დასაბუთებული რეგიონებზე მიმართული ძირითადი ინტერვენციები. (მაგ: ავსტრია, დანია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები).


ზოგ ქვეყანაში რეგიონებს შორის მკაცრი უთანასწორობა ნარჩუნდება, ან, იზრდება კიდევ. პოლიტიკა ეხმაურება ამ უთანასწორობას და მას სამ კატეგორიად ჰყოფს: i) პოლიტიკის ძირითადი აქცენტი რეგიონულ უთანასწორობაზეა მიმართული (მაგ: გერმანია და იტალია) ii) ჩამორჩენილი რეგიონები იღებენ მხარდაჭერას, მაგრამ ეს პოლიტიკის ძირითადი აქცენტი არ არის (მაგალითად: ფინეთი და იაპონია) და iii) აქცენტი კეთდება ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე მიუხედავად შიდა უთანასწორობისა (მაგალითად: ჩეხეთის რესპუბლიკა და უნგრეთი).

ტრადიციულ აქცენტს ინტერრეგიონულ უთანასწორობაზე დაემატა უფრო დეტალური შიდა რეგიონული უთანასწორობა, ურბანულ-რურალური დაყოფა, და შემფოთება ეკონომიკური კატასტროფის ზონების იგნორირების გამო (მაგ: ძველი ინდუსტრიული ზონები, სოფლის ტერიტორიები, ურბანული სიღარიბის ზონები). ამავე დროს, დღესდღეობით უკვე ბევრი ქვეყანა მიიჩნევს თავს გლობალური კონტექსტის ნაწილად და პრიორიტეტად სახავს ყველა რეგიონის განვითარებას მაქსიმალური ეროვნული ზრდისკენ მიმართული ძალისხმევის ფარგლებში. კონკურენტუნარიანობაზე ორიენტირებული პრობლემის გაცნობიერება გაზრდილია (აღნიშნულია ვარსკვლავით გრაფიკში 1.1.). მდგრადობის საკითხები და დემოგრაფიული სტრუქტურა იწვევს შემფოთებას.

გრაფიკი 1.1. პრობლემის გაცნობიერება ცენტრალური ხელისუფლების მიერ

(ქვეყნების მაჩვენებელი)

შენიშვნა: ზოგიერთმა ქვეყანამ რამდენიმე პასუხი მოგვცა.



რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები

ქვეყანათა უმეტესი ნაწილი რეგიონულ პოლიტიკის განხორციელებისას ორ ამოცანას ისახავს: სამართლიანობა (რეგიონებს შორის ბალანსი) და ეფექტურობა (ზრდა და კონკურენტუნარიანობა) (გრაფიკი 1.2. და ცხრილი 1.A1.2) რეგიონული სამართლიანობა ბევრ ქვეყანაში რეგიონული პოლიტიკის საფუძველია. ზოგიერთ ქვეყანას ტერიტორიული ბალანსის თაობაზე საკონსტიტუციო შეთანხმებაც აქვს (მაგ: გერმანია, იტალია, კორეა და ესპანეთი). რეგიონულ პოლიტიკაში სამართლიანობის კომპონენტების მაგალითებია: პერიფერიული მონების პრიორიტეტიზაცია დანიაში, აქცენტი რეგიონულ ბალანსზე/წონასწორობაზე ფინეთში, ტერიტორიული გათანაბრება საფრანგეთში და თანაბარი საცხოვრებელი პირობები ნორვეგიაში.

ამჟამად მეტი ყურადღება ეთმობა ზრდას/განვითარებას და კონკურენტუნარიანობას (აღნიშნულია ვარსკვლავით გრაფიკში 1.2), თუმცა რიგი ქვეყნები ასევე ხაზს უსვამენ კავშირებს რეგიონულ განვითარებასა და ტერიტორიულ ბალანსს შორის და პოლიტიკის ამ ორ ამოცანას განიხილავენ, როგორც ურთიერთშემავსებელს და ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულს. განვითარებაზე ორიენტირებული პოლიტიკის უკანასკნელი მაგალითებია: გაძლიერებული აქცენტი კონკურენტუნარიანობის პოლიტიკაზე საფრანგეთში, პიკური მიდგომა (Peaks approach) ნიდერლანდებში და სახელცვლილი რეგიონული ზრდის პოლიტიკა შვედეთში. მრავალი სხვა OECD/ეთგო წევრი ქვეყანა, როგორცაა ავსტრია, ფინეთი, კორეა, ახალი ზელანდია, პოლონეთი და გაერთიანებული სამეფოც ამ გზას მიჰყვებიან. „ენდოგენური განვითარების“ კონცეფცია ეფუძნება რეგიონული აქტივების პოტენციალს, სოციალურ და გარემოსდაცვით მდგრადობას აერთიანებს კონკურენტუნარიანობასთან და ასევე პოპულარობით სარგებლობს იმ ქვეყნებში, როგორცაა ავსტრალია, ირლანდია, ნორვეგია და თურქეთი (აღნიშნულია ვარსკვლავით გრაფიკში 1.2.).

სამართლიანობის განზომილება ხშირად განხილულია სოციალური ამოცანების პერსპექტივიდან, რაც აღიარებს ადამიანის უფლებებს და ყველა მოქალაქისთვის თანაბარი შესაძლებლობების მიცემას. ადამიანის უფლებები არ განისაზღვრება შემოსავლების დონის მაჩვენებლით, მაგრამ გულისხმობს დამაკმაყოფილებელ პირობებს, რაც აუცილებელია თითოეული ინდივიდის სიცოცხლისთვის. ეს პირობები გამოხატულია კოლექტიურ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობაში, როგორცაა საბაზისო განათლება და საბაზისო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ეფექტურობის მაჩვენებელი ეხება მოქალაქეთა „შესაძლებლობებს გაზარდონ საკუთარი კეთილდღეობა“. ეს კი ხშირად უკავშირდება კოლექტიურ სერვისებს, როგორცაა უმაღლესი განათლება და მაღალი ხარისხის მომსახურებისა და მარკეტინგის სერვისები. უფლებებსა და შესაძლებლობებს შორის გამყოფი ხაზი მკაფიო არ არის. თუმცა, უკიდურესად მნიშვნელოვანია, მოხდეს მათი გამიჯვნა, რადგანაც ეს ორი ამოცანა თვისობრივად განსხვავებულია პოლიტიკის თვალსაზრისით. (Barca in OECD, 2006a). ხანდახან ეს ორი განზომილება ერთმანეთს ავსებს, მაგრამ სხვა დროს, თუ ისინი სხვადასხვა ადგილას აღმოჩნდება ხოლმე, კონფლიქტი იჩენს თავს. კანადაში, ეკონომიკური განვითარების პოლიტიკა მკაფიოდ არის გამოყოფილი გათანაბრების პროგრამიდან. ნორვეგიაში, „ვიწრო“ რეგიონული პოლიტიკა აქცენტს აკეთებს კონკურენტუნარიანობის ფაქტორებზე, როგორცაა მეწარმეობა, ინოვაციები, კომპეტენციები და ქსელები, მაშინ, როცა „ფართო“ რეგიონული პოლიტიკა ფოკუსირებულია საჯარო სერვისებით უზრუნველყოფასა და მასთან დაკავშირებულ მომსახურებაზე.


გრაფიკი 1.1.-ის (პრობლემის გაცნობიერება) და გრაფიკი 1.2-ის (პოლიტიკის ამოცანები) შედარება ააშკარავებს, რომ ბევრ ქვეყანას დღესაც აქვს რეგიონული უთანასწორობის პრობლემა, მაგრამ მას სხვადასხვა კუთხიდან ხედავენ. ამ გრაფიკებიდან ნათლად ჩანს ახალი რეგიონული პოლიტიკის მიმართულებით პარადიგმის ცვლილება (განსაკუთრებით, თუ შევადარებთ ვარსკვლავებით აღნიშნულ პუნქტებს.)

სამართლიანობისა და ბრდის/განვითარების კომპონენტების გარდა, რეგიონული პოლიტიკის ამოცანებში ეტაპობრივად ხდება მდგრადი განვითარების ჩართვაც (მაგ: ბელგია, საფრანგეთი, უნგრეთი და ესპანეთი). გაუმჯობესებული მმართველობა, განსაკუთრებით კი დეცენტრალიზაცია და რეგიონალიზმი ზოგიერთი ქვეყნისთვის რეგიონული პოლიტიკის მიზანსაც კი წარმოადგენს (მაგალითად, უნგრეთი და კორეა). სივრცითი სტრუქტურის შენარჩუნება და/ან განვითარება (როგორცაა მრავალცენტრიანი ტერიტორიული სტრუქტურა, ინტერრეგიონული თანამშრომლობა) პოლიტიკის მიზანს წარმოადგენს ქვეყანათა უფრო ვიწრო ჯგუფისთვის. ისტორიულად, ეს გართულებულია იმ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის მეჩხერი განსახლება გამონვევად რჩება და სადაც უნიფიცირებული სერვისების მიწოდება პრობლემაა (მაგ: ფინეთი, ირლანდია და ნორვეგია). უფრო ზოგადად, ქვეყნების მზარდი რაოდენობა რეგიონული განვითარების მიზნების დასახვისას მხედველობაში იღებს სივრცითი დაგეგმარების პრიორიტეტებს. ეს დიდი ხანია პრობლემა იყო ნიდერლანდებისთვის და ხაზგასმულია მიმდინარე წლებში ისეთ ქვეყნებში, როგორცაა პორტუგალია და გაერთიანებული სამეფო ნაწილობრივ ევროკავშირის პოლიტიკის გაფართოების საპასუხოდ.

გრაფიკი 1.2. რეგიონული განვითარების პოლიტიკის ამოცანები

(ქვეყნების მაჩვენებელი)

შენიშვნა: ზოგიერთმა ქვეყანამ მოგვცა სხვადასხვა პასუხები.



1.2. სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩოები

პოლიტიკის ძირითადი ჩარჩოები

ძველ და ახალ პარადიგმებზე დაფუძნებული პოლიტიკა ერთმანეთისგან განსხვავებულია. პოლიტიკის ძველი ნაკადი მიმართულია ზემოდან ქვემოთ, ეფუძნება სუბსიდიას, ორიენტირებულია ინვესტიციებზე და სამიზნე ობიექტად მოიაზრებს კონკრეტულ პრობლემურ რეგიონებს, მაშინ, როცა ახალი პოლიტიკის იმპლემენტაცია ხდება მრავალდონიანი ხელისუფლებების თანამშრომლობით, ის დაფუძნებულია პროგრამებზე და სამიზნე ობიექტად მოიაზრებს მთელს ქვეყანას (Yuill *et al.*, 2008). ძველი პარადიგმის პოლიტიკა, რაც მიზნად ისახავს ტრადიციულად პრობლემური რეგიონების სუბსიდირებას, ზოგადად მნიშვნელოვანია, როგორც ამას ზოგიერთი ქვეყნის მაგალითი აჩვენებს (მაგ: ფინეთი, გერმანია და იტალია). თუმცა, გლობალიზაციის წნეხისა და დეცენტრალიზაციისკენ კურსის გათვალისწინებით, თანდათან ახალი პარადიგმით განპირობებული რეგიონული პოლიტიკა რამდენადმე ანაცვლებს და ემატება ტრადიციულ რეგიონულ პოლიტიკას.

სხვა სიტყვებით რომ გადმოვცეთ, პროგრამაზე დაფუძნებული და მმართველობაზე აქცენტირებული მიდგომა რეგიონული პოლიტიკის წარმმართველი გახდა. რეგიონული პოლიტიკის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მასშტაბი გაფართოვდა ეკონომიკური ზრდის სტიმულაციის ახალი გზების შესწავლასთან ერთად. რეგიონული ეკონომიკის სტიმულირება შესაძლებელია არა მხოლოდ სპეციფიკური ინფრასტრუქტურული მხარდაჭერით, არამედ იმ ზომების მიღებითაც, რაც წაახალისებს მენარმეობას და ინოვაციებს, განათლებასა და ტრენინგებს, კულტურასა და გარემოს დაცვას, შიდა აქტივების პოტენციალის და ადგილობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე შიდა ქსელების გამოყენების მიზნით. ნაცვლად არსებულ პრობლემებზე უბრალოდ რეაგირებისა, რეგიონული პოლიტიკა უფრო პროაქტიული და მომავალზე ორიენტირებული გახდა. სადღეისოდ, OECD/ეთგო წევრი ქვეყნების უმრავლესობაში რეგიონული პოლიტიკა აღარ არის ცალსახად ორიენტირებული მხოლოდ ჩამორჩენილი რეგიონების გამონწვევებზე, არამედ მოიცავს ზრდის პოტენციალსაც, რაც ყველა რეგიონში არსებულ აქტივებს ეფუძნება.

თემატური გაფართოება და აქცენტი რეგიონულ აქტივებზე აუცილებლად მოითხოვს გაუმჯობესებულ მმართველობით სტრუქტურას, როგორც ხელისუფლების დონეებს, ისე სექტორებს შორის. დანიაში ახალი მიდგომის ცენტრია რეგიონული განვითარების ფორუმი, სადაც ადგილობრივი, რეგიონული, ეროვნული და ევროკავშირის განვითარების აქტივობები ერთიან პროგრამაზე დაფუძნებულ პოლიტიკის სტრუქტურაშია ინტეგრირებული. ნიდერლანდების დელტა პროგრამების პიკი მხარს უჭერს სექტორთა შორის, ასევე ეროვნულ და სუბნაციონალურ ხელისუფლებათა შორის თანამშრომლობას. რეგიონული განვითარების პოლიტიკა შვედეთში მიზნად ისახავს ადგილობრივი და რეგიონული კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესებას ყველა რეგიონში რეგიონული პროგრამების და გაზრდილი რეგიონული და სექტორული კოორდინაციის გზით.

ურბანული/რურალური პოლიტიკის ჩარჩოები

ცხრილი 1.2. ურბანული პოლიტიკის ჩარჩო

ჩეხეთის რესპუბლიკა	ურბანული პოლიტიკის პრინციპები (2007-13)
ფინეთი	ურბანული პოლიტიკის კომიტეტი, მთავრობის გადაწყვეტილება ურბანული პოლიტიკის პრინციპებზე (2008)
საფრანგეთი	ურბანული სოციალური კოჰეზიის კონტრაქტები, გაძლიერებისა და გამართების ინტერმუნიციპალური აქტი, ურბანული სოლიდარობისა და განვითარების აქტი
გერმანია	ურბანული განვითარების ეროვნული პოლიტიკა
საბერძნეთი	ურბანული აგლომერაციების რეგულირების გეგმა
ლუქსემბურგი	კონვენციონული არაფორმალური შეთანხმებები, ურბანული პოლიტიკის ეროვნული საინფორმაციო განყოფილება
მექსიკა	ზოგადი კანონი დასახლებების შესახებ, ურბანული განვითარებისა და ტერიტორიის მონყობის ეროვნული პროგრამა
ნიდერლანდები	ეროვნული ურბანული პოლიტიკა დაფუძნებული მიზნობრივ გრანტებსა და ხუთწლიან კონტრაქტებზე (2005-09)
ნორვეგია	2007 პოლიტიკის დოკუმენტი მთავარი რეგიონების შესახებ, 2003 პოლიტიკის დოკუმენტი ნორვეგიის დიდი ქალაქების შესახებ
პორტუგალია	POLIX XXI
სლოვაკეთის რესპუბლიკა	შეტანილია სლოვაკეთის სივრცითი განვითარების პერსპექტივაში (2001)
შვედეთი	ეროვნული პროგრამა ძირითადი ურბანული ზონების შესახებ (2006-09)
შვეიცარია	აგლომერაციის ფედერალური პოლიტიკა

დამატებით, ზოგიერთ ქვეყანას აქვს მეტროპოლიური მმართველობის კარგად ჩამოყალიბებული ჩარჩო დოკუმენტები. იტალიაში საკანონმდებლო დადგენილება 267/200 და მოქმედი კანონი 42/2009 არეგულირებს მეტროპოლიური ქალაქების (*città metropolitane*) ჩამოყალიბებას, რათა გაუმჯობესდეს ადმინისტრაციული თანამშრომლობა დიდ ქალაქებსა და მათს განაპირა პატარა თემებს შორის. თურქეთში, სტამბულისა და იზმირის მსგავსი მეტროპოლიებისთვის შეიქმნა დიდი მუნიციპალიტეტები. სულ შექმნილია 16 მეტროპოლიური მუნიციპალიტეტი, რომელთა შემადგენლობაში რამდენიმე მუნიციპალიტეტი. მეტროპოლიური საბჭოები მეტროპოლიაში შემავალი მუნიციპალიტეტების საკოორდინაციო დამატებითი ადმინისტრაციული რგოლია. სხვა შემთხვევებში კი, განსაკუთრებული სტატუსი და კომპეტენცია გადაეცემა დედაქალაქებს ან დიდ ქალაქებს. მაგალითად, ავსტრიის დედაქალაქ ვენას აქვს ლენდის სტატუსი. დედაქალაქ ბრიუსელის რეგიონს (ბელგია) აქვს რეგიონის და პროვინციის სტატუსი. ბერლინი, ბრემენი და ჰამბურგი (გერმანია) საკუთრი უფლებების მქონე ლენდერები არიან და მათ ქალაქ-სახელმწიფოებსაც უწოდებენ.

რურალური განვითარება OECD/ეთგო წევრი ქვეყნების ხელისუფლებათა დღის წესრიგში დგას. რურალური განვითარების პოლიტიკა საჭიროა სულ მცირე სამი მიზეზის გამო: პირველი - რურალურ სივრცეებს აქვთ მნიშვნელოვანი გამოწვევები, რაც ხელს უშლის მათს ტერიტორიულ ინტეგრაციას ქვეყნის შიგნით. პრობლემას იწვევს, ძირითადად,

მოსახლეობის ხანდაზმულობა და ბაზრებიდან და სერვისებიდან დისტანცირება. მეორე - რურალური სივრცეები ხშირად ფლობენ გამოუყენებელ ეკონომიკურ პოტენციალს, რაც უმჯობესია, რომ გამოყენებული იყოს და ამით ხელი შეეწყოს სოფლის მოქალაქეთა კეთილდღეობას და ზოგადად, ეროვნულ განვითარებას. მესამე, არც სექტორულ პოლიტიკას და არც ბაზრებს არ შეუძლიათ სრულად მიიღონ მხედველობაში რურალური სივრცეების მრავალფეროვანი გამოწვევები და პოტენციალი, რათა გაუმკლავდნენ პოზიტიურ და ნეგატიურ გარე ფაქტორებს. (OECD, 2006a).

ზოგი OECD/ეთგო წევრი ქვეყანა რურალურ განვითარებაში სექტორული პოლიტიკის ინტეგრაციისთვის ინოვაციურ სისტემებს იყენებს (ცხრილი 1.3.). მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში რურალურ პოლიტიკაზე აქცენტის გაფართოების მიზნით, 2001 წელს დაფუძნდა გარემოს დაცვის, სურსათისა და სოფლის საკითხთა დეპარტამენტი, ამასთან, ერთ დეპარტამენტში მოექცა სოფელთან დაკავშირებული სხვადასხვა ფუნქცია, რათა ცენტრალური მთავრობის დეპარტამენტებს აეღოთ ვალდებულება სოფლებისთვის დაენერგათ მყარი სატესტო მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც პოლიტიკის შექმნა და იმპლემენტაცია სისტემატურად შემოწმდებოდა რურალურ სივრცეებზე მისი გავლენის მიმართულებით. კანადამ მოიფიქრა კორიზონტალური ინიციატივა სახელწოდებით კანადის რურალური პარტნიორობა (CRP), რომლის ფარგლებშიც ფედერალური მთავრობის რურალური სამდივნო ავითარებს პარტნიორობას ფედერალურ დეპარტამენტებს, პროვინციებს და სასოფლო პარტნიორებს შორის ისეთ სფეროებში, როგორცაა ცოდნის შექმნა, პოლიტიკის შემუშავება და რურალური და ცენტრიდან მოშორებული სივრცეების განვითარების სტრატეგიების იმპლემენტაცია. კანადის რურალური პარტნიორობის სასოფლო მიმართულება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ცნობიერებას სასოფლო თემთა საჭიროებებსა და პირობებზე და გადააფასოს და წინასწარ გადახედოს ყველა ფედერალური პოლიტიკის, პროგრამისა და სერვისის გავლენა რურალურ და ცენტრიდან მოშორებულ სივრცეებზე. ესპანეთმა 2007 წელს შეიმუშავა კანონი რურალური ზონების მდგრადი განვითარების შესახებ, რის საფუძველზეც წამოიწყო ფართო სამინისტროთაშორისი მრავალწლიანი მდგრადი რურალური განვითარების პროგრამა, რომელმაც რამდენიმე სხვადასხვა ბიუჯეტის გაერთიანებით შექმნა „რურალური ბიუჯეტი“.

ცხრილი 1.3. რურალური პოლიტიკის ჩარჩო

კანადა	კანადის რურალური პარტნიორობა და სასოფლო ხედევა/ლინზა/ობიექტივი
ჩილე	ტერიტორიული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია (2006-10)
ფინეთი	რურალური პოლიტიკის კომიტეტი, რურალური პოლიტიკის პროგრამა
საფრანგეთი	რურალური განვითარების ეროვნული გეგმა, სოფლის აღორძინების კანონი (2005), რურალური აღორძინების ზონა, რურალური ინოვაციების/ხარისხის/კვლევის ცენტრები
გერმანია	ერთიანი/ერთობლივი ამოცანა სასოფლო-სამეურნეო სტრუქტურისა და სანაპირო დაცვის გაუმჯობესების შესახებ და მისი ოთხწლიანი გეგმა
საბერძნეთი	რურალური განვითარების კანონი (2005)
ისლანდია	ოთხწლიანი განვითარების გეგმები შეთანხმებით მრდის შესახებ და შეთანხმებით კულტურის შესახებ
იტალია	რურალური განვითარების ეროვნული სტრატეგიული გეგმა და ეროვნული სტრატეგიული ჩარჩო
იაპონია	ძირითადი გეგმა სურსათის, სოფლის მეურნეობისა და რურალური განვითარების შესახებ (2005)
კორეა	სოფლად ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხუთწლიანი გეგმა (2010-14)
მექსიკა	მდგრადი რურალური განვითარების კანონი (2001) რურალური განვითარების სპეციალურად შეთანხმებული პროგრამა
ნიდერლანდები	სოფლად ცხოვრების პროგრამა/დღის წესრიგი (2004) დაფუძნებული მიზნობრივ გრანტებსა და შვიდწლიან კონტრაქტებზე (2007-13)
ნორვეგია	2009 წლის პოლიტიკის დოკუმენტი რეგიონული პოლიტიკის შესახებ
სლოვაკეთის რესპუბლიკა	შეტანილია სლოვაკეთის სივრცითი განვითარების პერსპექტივაში (2001)
ესპანეთი	კანონი რურალური სივრცეების მდგრადი განვითარების შესახებ (2007) მდგრადი რურალური განვითარების პროგრამა
შვედეთი	რურალური სივრცეების ეროვნული სტრატეგია (2009)
შვეიცარია	1999 წლის სოფლის მეურნეობის კანონი, რურალური განვითარების ფედერალური ქსელი 2006 წლიდან
თურქეთი	ეროვნული რურალური განვითარების სტრატეგია (2006)
გაერთიანებული სამეფო	რურალური პოლიტიკის დოკუმენტი (2000) და რურალური მედეგობა (2004) კანონი ეროვნული გარემოს დაცვისა და რურალური კომუნიკაციების შესახებ (2006)

შენიშვნა: ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში ეროვნული სტრატეგიული გეგმა (NSP) (და რეგიონული რურალური განვითარების გეგმები (RDPs) ფედერალურ და მკაცრად რეგიონიზებულ ქვეყნებში/მკაცრი რეგიონული დაყოფის ქვეყნებში) არის ძირითადი რურალური პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოთხოვნილია ევროკავშირის რურალური განვითარების პროგრამების მიერ. თითოეულ წევრ ქვეყანას აქვს არჩევანი ან შეადგინოს ერთიანი ეროვნული სტრატეგიული გეგმა მთლიანი ტერიტორიისთვის, ანდა ქვეყნის ტერიტორია რეგიონებად დაყოს და შეადგინოს რეგიონული რურალური განვითარების გეგმები.

სივრცითი ორიენტაცია

მიემართება რა ცვლილებას ძირითად ჩარჩოში, რეგიონული პოლიტიკა ქვეყნების უმრავლესობაში აქცენტირებულია ყველა რეგიონზე და გვერდს უვლის დიქტომიას განვითარებული და განუვითარებელი რეგიონების შესახებ. აქცენტირება ყველა რეგიონზე ასახავს ჰპოვებს ორ განსხვავებულ მიმართულებაზე: პირველი, პროგრესს განიცდის უფლებამოსილების გადაცემა რეგიონულ დონეზე. ყველა რეგიონი აქცენტს უნდა აკეთებდეს საკუთარ რეგიონულ ძლიერ მხარეებსა და აქტივებზე და განავითაროს რეგიონული განვითარების უნიკალური სტრატეგია. მეორე: ნაცვლად ყურადღების გადატანისა მხოლოდ კონკრეტულ (ჩამორჩენილ) მხარეებზე, ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული პოლიტიკა მიმართულია ყველა რეგიონისადმი, რაც საშუალებას აძლევს მათ მოახდინონ პოლიტიკის ადაპტირება მათ განსაკუთრებულ კონტექსტზე. მაგალითად, რეგიონული განვითარების სააგენტოების მეშვეობით კანადამ ფართო მასშტაბით განახორციელა სხვადასხვა ღონისძიება, რეგიონების მიხედვით იცვლება პროგრამირება, რათა მოერგოს ადგილობრივ პირობებს და მიმართული იყოს სპეციფიკური ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

მეორე მხრივ, რეგიონული პოლიტიკის სივრცითი ორიენტაცია არსებით მნიშვნელობას ინარჩუნებს რეგიონული შემწეობის საჭიროების მქონე ადგილების განსაზღვრის, ჩამორჩენილი ზონებისთვის უპირატესი დაფინანსების და განსაკუთრებული სივრცითი ორიენტირების (მაგალითად: რეგიონთა გეოგრაფიული ტიპი, კროს-სასაზღვრო რეგიონები) გამო. რეგიონული პოლიტიკის ჩამოყალიბების პირველივე დღეებიდან განსაზღვრული იყო სპეციფიკური ზონები რეგიონული შემწეობის მისაღებად, სადაც, როგორც წესი, სახეზე იყო არახელსაყრელი სოციალ-ეკონომიკური, დემოგრაფიული ან/და გეოგრაფიული პირობები. როცა დროის გასვლასთან ერთად მსგავსი ზონების დაფარვა შემცირდება და შედეგად რეგიონული შემწეობა გაუქმდება, ისინი შენარჩუნებული იქნებიან, როგორც რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტები. დამატებით, ბევრ ქვეყანაში მოქმედებს ფისკალური გათანაბრების სისტემა, რომელიც მიმართულია არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონებისადმი. რურალური სივრცეები წინა პლანზეა წამოწეული მრავალ ქვეყანაში. მაგალითად: აქცენტი პერიფერიებზე დანიაში, ფინეთსა და ნორვეგიაში, ახალი ეროვნული რურალური სტრატეგია შვედეთში, გამოყოფილი ზონები საფრანგეთში, ახალი პროგრამა მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე ტერიტორიებისთვის პორტუგალიაში.

დაფინანსების მხრივ არ არსებობს სივრცითი ორიენტაციის ხარისხის მაჩვენებელი მკაფიო ნიშანი. მეორე მხრივ, ფაქტები რიგი ქვეყნებიდან აჩვენებს, რომ ნაკლებად განვითარებული რეგიონები პრიორიტეტულია. მაგალითები მოიცავს პერიფერიული ტერიტორიების მხარდაჭერას დანიაში, მეექვსე-მეშვიდე GRW დაფინანსებას ახალი ლენდერებისთვის (*Länder*) გერმანიაში, მეცოჯორნოს (*Mezzogiorno*) კონცენტრირებულ მხარდაჭერას იტალიაში, ჩრდილოეთის პრიორიტეტულ მხარდაჭერას ნიდერლანდებსა და შვედეთის უკიდურეს ჩრდილოეთ რეგიონებში. გაერთიანებულ სამეფოში RDA დაფინანსება უშუალოდ საჭიროებებზეა დაფუძნებული. დაფინანსების გამოყოფა ასევე მიმართულია პოლონეთის შედარებით სუსტი რეგიონებისკენაც (განსაკუთრებით აღმოსავლეთით).

ამდენად, ინოვაციების და კონკურენტუნარიანობის წახალისების მიმდინარე ტენდენციას მიყვავართ პოლიტიკის ცვლილებისკენ, რაც ხელს შეუწყობს ურბანულ სივრცეებს და ზრდის ცენტრებს. ურბანული სივრცეები პოლიტიკის ყურადღების ცენტრშია იმ ქვეყნებშიც, სადაც ტერიტორიული სტრუქტურის განვითარება პრიორიტეტია (მაგ: ფინეთი, ირლანდია და ნორვეგია). ამ ქვეყნებში, უმთავრესი მიზანია მხარი დაუჭირონ ტერიტორიულ

შერწყმას მრავალპოლუსიანი განვითარების გზით, რაც ფართო სივრცითი პოლიტიკის ამოცანაა.

პოლიტიკის ინსტრუმენტები, რასაც წვლილი შეაქვს რეგიონული პოლიტიკის ამოცანებში

ფირმები დამოკიდებულნი არიან მათი მდებარეობის ადგილზე არსებულ გარემო-პირობებზე. იმისთვის, რომ დავეხმაროთ ფირმას განვითარებასა და აყვავებაში, აუცილებელია ბიზნეს გარემოს მხარდაჭერა. რეგიონული შემწეობიდან (საშემოსავლო ტრანსფერი ღარიბი რეგიონების მცხოვრებთათვის, პირდაპირი დახმარება ინდივიდუალური ფირმებისთვის) აქცენტი გადავიდა ბიზნეს გარემოს ფართო მხარდაჭერაზე. ეს შესაძლოა მოიცავდეს შესაბამის უნარებზე წვდომას, ინფორმაციასა და ინფრასტრუქტურის ქსელზე ხელმისაწვდომობას.

წარსულში, დახმარება აქცენტირებული იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოტანასა (FDI) და გარე ინვესტორებისა ან/და ახალი ფირმების სუბსიდირებული აღჭურვილობით უზრუნველყოფაზე. შედარებით ახლო პერიოდში, აქცენტი გადავიდა უფრო კონკურენტული საოჯახო ფირმების შექმნაზე, რასაც მივყავართ კლასტერული პოლიტიკით და მსგავსი ინსტრუმენტებით დაინტერესებისკენ, რათა ხელი შევუწყოთ თანამშრომლობას და ცოდნის გაზიარებას ფირმებს, განსაკუთრებით SMEs (მცირე და საშუალო საწარმოებს) შორის (რეგიონული ინოვაციური მიდგომა). ბიზნეს გარემოს მხარდაჭერი ბევრი ბოლოდროინდელი ცვლილება კავშირშია ინოვაციებთან. ეს მოიცავს: ექსპერტიზის პროგრამების ცენტრს ფინეთსა და ნორვეგიაში, საკონკურსო ცენტრებს საფრანგეთში და ზოგიერთ ახალ პროგრამას, რომელსაც ახორციელებს ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა ადმინისტრაცია. პოლიტიკა ხელს უწყობს ინოვაციებს იმ ინდუსტრიებში, რომლებიც ტრადიციულად ურბანულ სივრცეებთან ასოცირდება. (მაგ: ICT, ბიოტექნოლოგიები და სხვა სამეცნიერო და სამედიცინო ინდუსტრიები). შედეგად, ინოვაციური პოლიტიკა ახალ სიცოცხლეს სძენს ურბანული ზრდის/განვითარების ცენტრების იდეას, რაც სავარაუდოდ/ მაღალი ალბათობით ენდოგენურად განავითარებს მათს მიმდებარე ტერიტორიებს. (მაგ: საფრანგეთი, უნგრეთი და პორტუგალია).

ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა (განსაკუთრებით სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა) ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად უკვე დიდი ხანია, რაც რეგიონული პოლიტიკის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, რომელთა მახასიათებელია გრძელი მანძილები და რთული ტოპოლოგია (მაგ: ავსტრალია, კანადა, საბერძნეთი, იაპონია და ჩრდილოეთის ქვეყნები). ეს ხაზგასმა გრძელდება ახალი პარადიგმის პირობებშიც. მიზნობრივი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა ინდუსტრიული ქონების, სამეცნიერო პარკების და ტექნოლოგიური ცენტრების ფორმით ბევრი ქვეყნისთვის ტრადიციულია (მაგ: ბელგია, ნიდერლანდები).

დახმარების განევა განსაზღვრული ტერიტორიებისთვის, რაც ეფუძნება გეოგრაფიულ, დემოგრაფიულ და სოციალ-ეკონომიკურ მახასიათებლებს, ფართოდ შეინიშნება OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში. ნორვეგიას რამდენიმე სამიზნე ზონა აქვს სოციალური დაცვის შეღავათების, საინვესტიციო დახმარების და ჩრდილოეთ ტრომის და ფინმარკის (ჩრდილოეთ ნორვეგია) მოქმედების ზონის ჩათვლით. იაპონიაში, განსაზღვრული ზონები, როგორცაა დეპოპულაციური სივრცეები, მთიანი რეგიონები, თოვლიანი რეგიონები და ნახევარკუნძულის რეგიონები კვლავ იღებენ სპეციალურ დახმარებას. საფრანგეთში, კონკრეტული სივრცეები დაფუძნებულია როგორც შესაძლებლობებზე, ისე პრობლემებზე. ჩამორჩენილი ზონების ტრადიციულ მსაზღვრელებთან ერთად, როგორცაა ინდუსტრიული

რესტრუქტურისა, მთიანი და სანაპირო ზონები, კონკურენტუნარიანი ცენტრები და სასოფლო კვლევითი ცენტრები, ექვემდებარება რეგიონულ დახმარებას.


ბიუჯეტი: სისტემა და მოცულობა

ძნელია, მოახდინო OECD/ეთგო წევრი ქვეყნების რეგიონული პოლიტიკის ბიუჯეტების ადეკვატური შედარება რეგიონული პოლიტიკის ერთგვაროვანი განსაზღვრების არქონის და რეგიონული პოლიტიკის პოტენციურ კომპონენტებთან დაკავშირებული შეზღუდული მონაცემების გამო. არც ერთ ქვეყანას არ წარმოუდგენია რეგიონული პოლიტიკის ბიუჯეტის სრული ხარჯთაღრიცხვა. თუმცა, საინტერესო ინიციატივები გვეხმარება გავიგოთ საერთო ფინანსური სიტუაცია ზოგიერთ ქვეყანაში. მექსიკა აჯგუფებს რურალური პოლიტიკისთვის განსაზღვრულ სამინისტროების ბიუჯეტებს ოფიციალურ რურალურ ბიუჯეტში მდგრადი რურალური განვითარების კანონზე დაყრდნობით. მსგავსი სისტემა აქვს ესპანეთსაც, რომელიც აერთიანებს რამდენიმე ბიუჯეტს და ქმნის რურალურ ბიუჯეტს რურალური სივრცეების მდგრადი განვითარების კანონის შესაბამისად. მიზნობრივი გრანტებიც მსგავს სისტემას ეფუძნება, თუმცა, უფრო მცირე მასშტაბით. მაგალითები მოიცავს რეგიონული განვითარების სპეციალურ ანგარიშს და მიზნობრივ გრანტებს კორეაში, თემის რენოვაციის გრანტს იაპონიაში და თემის განვითარების მიზნობრივ გრანტს შეერთებულ შტატებში.

ფინანსური რესურსების გამოყოფაზე კონტროლი მიუთითებს რეალური ძალაუფლების რეგიონულ დონეზე გადაცემის მოცულობაზე. (გრაფიკი 1.3. და ცხრილი 1.A1.3). უმრავლეს შემთხვევებში, განსაკუთრებით კი უნიტარულ ქვეყნებში, ცენტრალური მთავრობა რეგიონული განვითარების დაფინანსების უმნიშვნელოვანეს წყაროდ რჩება. ვერტიკალურ ფინანსურ ტრანსფერებზე (მაგ: გრანტები, გადასახადების განაწილება) მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ, განსაკუთრებით კი, თუ ეს განპირობებულია ცენტრის მიერ განსაზღვრული სპეციფიკური პოლიტიკით, შეიძლება შეზღუდოს რეგიონების დამოუკიდებლობა რესურსების გადანაწილების და რეგიონული პოლიტიკის წარმართვის მიმართულებით. თუმცა, გარკვეულ კონტექსტში, ცენტრიდან კონტროლირებადი ინტერვენციები, შესაძლოა, ყველაზე ეფექტური საშუალებაც კი აღმოჩნდეს განვითარების რიგი პროგრამების კოორდინაციისას, რაც წარმოადგენს ინტერვენციების სტრატეგიული გადააზრების გარანტიას, ან შეზღუდავს ფრაგმენტაციის, სირთულის და გადაფარვის მასშტაბებს.

გრაფიკი 1.3. საჯარო შემოსავლების დეცენტრალიზაცია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში, 2008

შემოსავლების % მთლიანი სახელმწიფო შემოსავლებიდან



საბერძნეთი, ლუქსემბურგი, ახალი ზელანდია, პორტუგალია, ნიდერლანდები, გაერთიანებული სამეფო, ნორვეგია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, უნგრეთი, ირლანდია, ბელგია, საფრანგეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, პოლონეთი, იტალია, კორეა, ავსტრია, ისლანდია, ფინეთი, დანია, იაპონია, ესპანეთი, გერმანია, შვედეთი, შვეიცარია, კანადა

შენიშვნა: სხვა დონეებიდან მიღებული ტრანსფერების გამოკლებით და გადასახადების გაზიარების ღონისძიებების ჩათვლით.

2007 წლის მონაცემები კანადიდან, კორეიდან და ახალი ზელანდიიდან, 2006 წლის მონაცემები იაპონიიდან, შვეიცარიიდან და შვედეთიდან; 2008 წლის მონაცემები ყველა დანარჩენი ქვეყნიდან


შვედეთის შტატებისთვის არ არის ხელმისაწვდომი ჩაშლილი მონაცემები სახელმწიფოსა და ადგილობრივ მთავრობას შორის;

წყარო: OECD/ეთგო ეროვნული ანგარიშები, აშშ ეკონომიკის ანალიზის ბიურო

ბევრ ქვეყანაში არსებობს კიდევ ერთი განზომილება - სუბრეგიონული რეგიონის სტიმულირება რეგიონული პოლიტიკის განხორციელებისას (გრაფიკი 1.4. და ცხრილი 1.A1.3). გასული დეკადის განმავლობაში, სუბნაციონალურმა მთავრობებმა გაზარდეს საჯარო დანახარჯების წილი წლიური 1%-ის ფარგლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სუბნაციონალური ხარჯი პირდაპირ არ გამოხატავს დეცენტრალიზაციის ხარისხს. ზოგიერთი ხარჯი, შესაძლოა, ადგილობრივ ხელისუფლებას ერგოს, თუმცა, გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილება კვლავ ცენტრალურ დონეზე იყოს წარმოდგენილი (OECD, 2009b).

გრაფიკი 1.4. საჯარო ხარჯების დეცენტრალიზაცია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში, 2008

დანახარჯის % მთლიანი სახელმწიფო დანახარჯებიდან



საბერძნეთი, ახალი ზელანდია, ლუქსემბურგი, პორტუგალია, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ირლანდია, საფრანგეთი, ისლანდია, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, გაერთიანებული სამეფო, ავსტრია, იტალია, იაპონია, პოლონეთი, ნორვეგია, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, ფინეთი, კორეა, შვედეთი, ესპანეთი, შვეიცარია, დანია, კანადა სახელმწიფოს სხვა დონეებზე გადახდილი ტრანსფერების გამოკლებით.

2008 ან ბოლო ხელმისაწვდომი წელიწადი: 2007 წლის მონაცემები კანადიდან, კორეიდან და ახალი ზელანდიიდან, 2006 წლის მონაცემები იაპონიიდან, შვეიცარიიდან და შვედეთიდან.


შვედეთიდან არ არის ხელმისაწვდომი ჩაშლილი მონაცემები სახელმწიფოს და ადგილობრივ მთავრობას შორის;

წყარო: OECD/ეთგო ეროვნული ანგარიშები, აშშ ეკონომიკის ანალიზის ბიურო

OECD/ეთგო მასშტაბით სუბნაციონალური მთავრობები პასუხისმგებელი არიან საჯარო ინფრასტრუქტურული ინვესტიციების 65%-ის განხორციელებაზე (მიღებულია მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირებისას), რაც შეესაბამება მშპ-ს 2,2%-ს და მთლიანი კაპიტალური ხარჯების თითქმის ნახევარს (გრაფიკი 1.5.). სუბნაციონალური მთავრობის კაპიტალური ხარჯები უმთავრესად მიმართულია ეკონომიკურ საკითხებზე, განათლებაზე, გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვაზე. ეს ოთხი სექტორი ერთობლივად წარმოქმნის მთლიანი კაპიტალური დანახარჯების ნახევარზე მეტს და იმართება სუბნაციონალური მთავრობის მიერ. (OECD, 2009b)

გრაფიკი 1.5. საჯარო ინვესტიციების დეცენტრალიზაცია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში, 2008

სუბნაციონალური საჯარო ინვესტიციების % მთლიან სახელმწიფო ინვესტიციებში



საბერძნეთი, ისლანდია, გაერთიანებული სამეფო, სლოვაკეთის რესპუბლიკა, ლუქსემბურგი, უნგრეთი, ჩეხეთის რესპუბლიკა, ახალი ზელანდია, პორტუგალია, ირლანდია, ნორვეგია, ავსტრია, დანია, შვედეთი, იტალია, კორეა, ფინეთი, პოლონეთი, ნიდერლანდები, იაპონია, შვედეთის შტატები, ესპანეთი, საფრანგეთი, ავსტრალია, შვეიცარია, გერმანია, ბელგია, კანადა.

შენიშვნა:

2007 წლის მონაცემები ავსტრალიიდან, კანადიდან, იაპონიიდან, კორეიდან და ახალი ზელანდიიდან; 2008 წლის მონაცემები ყველა დანარჩენი ქვეყნიდან.

მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის ჩილედან, მექსიკიდან და თურქეთიდან.

მონაცემები ფინეთიდან, ახალი ზელანდიიდან და შვედეთის შტატებიდან ეხება მხოლოდ მთლიანი ფიქსირებული კაპიტალის ფორმირებას.

წყარო: OECD/ეთგო ეროვნული ანგარიშები.

1.3. მმართველობა

ცენტრალური ხელისუფლების და კორიზონტალური მმართველობის როლი ცენტრალურ დონეზე

რეგიონული პოლიტიკის ტრადიციული მოდელები მიმართულია სპეციფიკური ტერიტორიების ცალკეული სექტორებისკენ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო მმართველობის რგოლები შედარებით განცალკევებულად უნდა ფუნქციონირებდეს. თუმცა, რეგიონული პოლიტიკის ტერიტორიულმა ექსპანსიამ ყველა რეგიონზე ხელი შეუწყო ახალი კოორდინირებული მიდგომების წარმოჩენას, რაც ფართო სოციალ-ეკონომიკურ კონტექსტს მოიცავს. რეგიონული განვითარების გამოწვევები უფრო ფართოა და მოიცავს საკითხებს, რაც კვეთს სექტორულ და ადმინისტრაციულ საზღვრებს. რეგიონალიზაციის პროცესი ასევე ხელს უწყობს რეგიონულ დონეზე განსხვავებული რესურსების, პროგრამების და სამართლებრივი თუ პოლიტიკური სტატუსის მქონე სხვადასხვა პარტნიორების გამოვლენას. ზოგადი აქცენტი დეცენტრალიზაციისკენ OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში ზრდის სუბსაბინარული მთავრობების მნიშვნელოვნებასაც. შედეგად, კოორდინაციის პოლიტიკა მრავალი მიმდინარე ცვლილების საფუძველია.

ცენტრალური ხელისუფლების როლი უფრო ხელახლა განსაზღვრულია, ვიდრე – შემცირებული. ამასთან, უმრავლეს შემთხვევაში, ცენტრალური ხელისუფლება რჩება რეგიონული განვითარების დაფინანსების მნიშვნელოვან წყაროდ და ორგანოდ. ცენტრალური ხელისუფლების როლი, რაც გამოიხატება ძირითადი რეგიონული განვითარებისთვის ინტერვენციების შექმნასა და მიწოდებაში, მცირდება, რამდენადაც რეგიონული პოლიტიკის სისტემები დიაა მონაწილეთა ფართო წრისთვის. სამაგიეროდ, ცენტრალური ხელისუფლების როლი თანდათან უფრო მნიშვნელოვანი ხდება რეგიონული განვითარების პოლიტიკის ყოვლისმომცველი ჩარჩოს შემუშავების საქმეში. სხვა სიტყვებით, ამჟამად, ცენტრალური ხელისუფლება პასუხისმგებელია ჩარჩოს ან გზამკვლევის შედგენასა და კოორდინაციის მექანიზმების ზედამხედველობაზე, რის ფარგლებშიც შესაძლებელია, რომ რეგიონული პოლიტიკა ჩამოყალიბდეს და განხორციელდეს. ევროკავშირში, ცენტრალური ხელისუფლებების, როგორც სტრატეგიული მოთამაშეების როლი გაზრდილია, რადგანაც მათ უნდა შეადგინონ ეროვნული სტრატეგიული რეფერირების ჩარჩო (NSRF), რაც სტრატეგიული გზამკვლევია ევროკავშირის სტრუქტურულ ფონდებში გამოსაყენებლად, რომელიც ყველა რეგიონმა უნდა დაიცვას. ეროვნული სამინისტროები და სააგენტოები უფრო მეტად მოქმედებენ, როგორც რეგიონული განვითარების „კოორდინატორები და პარტნიორები.“ რეგიონული განვითარების პოლიტიკის ახალი პარადიგმის პირობებში გამოიკვეთა ცენტრალური ხელისუფლების შემდეგი როლები:


- რეგიონებს და სექტორებს შორის თანხმობისა და კონსენსუსის გაღვივების ფასილიტაცია ამოცანების, დროის განრიგის და სივრცითი კორიზონტის განსაზღვრის ჩათვლით;
- შესაბამისი მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და დისკუსიებისა და დებატების კოორდინირება საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესახებ: პოლიტიკის შემქმნელთა შორის დიალოგის ფასილიტაცია;
- სამართლებრივი, ფისკალური და ადმინისტრაციული ჩარჩოების შექმნა/განვითარება: ჩარჩო „ძირითადი წესების“ შესახებ, რომელიც განაგებს კომპლექსურობას, პლურალიზმს და კოორდინაციის უმეტეს მეთოდთა მოუწესრიგებელ იერარქიას;

- გვევლინება „სააპელაციო სასამართლოდ“ სექტორებსა და რეგიონებს შორის კამათისას: საბოლოო გადაწყვეტილებაზე პოლიტიკური პასუხიმგებლობის აღების ჩათვლით, განსაკუთრებით მმართველობის წარუმატებლობის შემთხვევაში;
- ეძებს ძალთა ბალანსის განმასხვავებლებს სექტორებს, რეგიონებს და სახელისუფლო დონეებს შორის: მთლიანი მმართველობითი სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის, ეროვნულ მთავრობებს შეუძლიათ და ვალდებულნი არიან დახმარება გაუწიონ სუსტ სტრუქტურებს შესაძლებლობათა გაძლიერების სტრატეგიების ჩამოყალიბებაში (ცენტრალური ხელისუფლების მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგების ჩათვლით);
- აფასებს და მონიტორინგს უწევს პოლიტიკის შედეგებს: აღმოფხვრის საინფორმაციო ხარვეზებს და აუმჯობესებს გადაწყვეტილების მიღების ხარისხს მმართველობის ყველა დონეზე.

რეგიონული პოლიტიკის დაფარვის ზონის გაფართოება მოითხოვს კოორდინაციას ეროვნული ხელისუფლების დეპარტამენტთა ფართო წრეებს შორის, რომელთა საქმიანობაც რეგიონულ განვითარებაზე გავლენის მქონედ არის მიჩნეული. ჰორიზონტალური მმართველობის მნიშვნელობა ხაზგასმულია პოლიტიკის სხვადასხვა სფეროთა შორის ურთიერთდამოკიდებულების და ურთიერთქმედების გაცნობიერებისას. სექტორული პოლიტიკა შეიძლება დაიყოს და ორიენტირდეს ვიწრო ამოცანებზე ფართო პოლიტიკური კონტექსტის მხედველობაში მიუღებლად. ჰორიზონტალურ მმართველობას პოტენციურად შეუძლია გააუმჯობესოს რესურსების გადანაწილება და სერვისების მიწოდება პოლიტიკის ადმინისტრირებისადმი უფრო ინტეგრირებული მიდგომების ფასილიტაციის გზით. OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში გამოყენებულია სხვადასხვა მექანიზმი ეროვნულ დონეზე კოორდინაციის გაძლიერებისთვის. (გრაფიკი 1.6. ცხრილები 1.A1.4 და 1.A1.5)

გრაფიკი 1.6. ჰორიზონტალური მმართველობის მექანიზმები

პოლიტიკის კოორდინაცია ცენტრალურ დონეზე (ქვეყნების მაჩვენებელი)



შენიშვნა:

ზოგიერთ ქვეყანას მიღებული აქვს ერთზე მეტი მექანიზმი.

მოცემული ქვეყნების გარდა, ევროკავშირის ყველა ქვეყანას აქვს სტრატეგიული პროგრამირების სისტემა.

✓ **მაკოორდინირებელი სტრუქტურების შექმნა, როგორცაა სამინისტროთაშორისი კომიტეტები და კომისიები.** ეს არის ჰორიზონტალური მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე მარტივი სისტემა, რომელიც ეფუძნება მმართველობის არსებულ სტრუქტურას. OECD/ეთგო წევრი ქვეყნების გამოცდილება მიუთითებს, რომ ჰორიზონტალური კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს ერთი სექტორული სამინისტრო, შესაძლოა, შეზღუდული აღმოჩნდეს მულტისექტორული ამოცანების შესრულებისას და ხელი შეუშალოს სხვა სამინისტროთა სრულ ჩართულობას. OECD/ეთგო ახალისებს მონაწილე სამინისტროთა მონაცვლეობით თავმჯდომარეობას, ან სამინისტროთა მიღმა ხელმძღვანელობას. რაც უფრო მაღალი დონისაა მმართველობა მსგავსი ტიპის კომისიებში, მით მყარია სხვადასხვა აქტორთა მხრიდან მასში მონაწილეობის სტიმული და ჩართულობა (მაგ: პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობის შემთხვევაში). (OECD, 2007a, 2009c). მსგავსი ტიპის კოორდინაციის მაგალითები მოიცავს რეგიონული პოლიტიკის მინისტრთა კომიტეტს დანიაში, რეგიონული განვითარების საპრეზიდენტო კომიტეტს კორეაში და რურალური და რეგიონული პოლიტიკის ქვეკომიტეტის კაბინეტს ნორვეგიაში.

✓ **სამინისტროებისა და დეპარტამენტების ჩამოყალიბება ან რესტრუქტურირება ფართო პასუხისმგებლობის და უფლებამოსილების მქონე ცალკე სამინისტროს შესაქმნელად, რაც მოიცავს ტრადიციულად განცალკევებულ სექტორებს.** განსხვავებულ პასუხისმგებლობათა ერთი და იმავე უწყების ხელში თავმოყრის ზოგიერთი პოზიტიური შედეგის მაგალითები მოიცავს: გაცილებით ღია და თანმიმდევრულ ხედვას, უნარებისა და შესაძლებლობების კონცენტრაციას უფრო ინტეგრირებული მიდგომების გამოსაყენებლად. რეგიონული განვითარების ცალკე სამინისტროები შეიქმნა მაგალითად ჩილეში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, პოლონეთში, სლოვაკეთის რესპუბლიკასა და სლოვენიაში. ავსტრალიაში, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის, რეგიონული განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დეპარტამენტს ეკისრება რეგიონული განვითარების პოლიტიკასთან დაკავშირებული ფართო პასუხისმგებლობა. ფინეთში, რეგიონულ განვითარებაზე ძირითადი პასუხისმგებლობა შიდა საქმეთა სამინისტროდან გადაეცა ახლად შექმნილ დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტროს, სადაც გაერთიანდა რეგიონული განვითარების დანაყოფები ვაჭრობისა და ინდუსტრიის, შრომის და შიდა საქმეების სამინისტროებიდან. გაერთიანებულ სამეფოში შეიქმნა გარემოს დაცვის, სურსათისა და სოფლის საკითხთა დეპარტამენტი რურალურ პოლიტიკაზე აქცენტის გასაფართოებლად და სოფლის საკითხებთან დაკავშირებული სხვადასხვა ფუნქციების ერთ დეპარტამენტში თავმოსაყრელად.

✓ **დაგეგმარება და პროგრამირება შეთანხმებების, ჩარჩო დოკუმენტების და ინსტრუმენტების ჩათვლით.** ეროვნული რეგიონული პოლიტიკის პროგრამების ფორმულირებას და იმპლემენტაციას ან/და სივრცით დაგეგმარებას შეუძლია ბიძგი მისცეს გაზრდილ ცენტრალურ კოორდინაციას, რაც ფართოდ არის დანერგილი OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში. რეგიონული კონკურენტუნარიანობის პოლიტიკისთვის დაგეგმარება და პროგრამირება აღიარებულია პოლიტიკის და არამხოლოდ კეთილდღეობის მხარდამჭერ ინსტრუმენტებად, რაც მიმართულია სოციალური სერვისებით უზრუნველყოფისკენ. ბევრ ქვეყანაში სივრცითი დაგეგმარება მიწის გამოყენებასთან დაკავშირებული ჩარჩო რეგულაციებიდან თანდათან გადადის გრძელვადიან სტრატეგიულ დოკუმენტებზე, რაც აქცენტირებულია მრავალფეროვან საკითხებსა და ინტერესებზე როგორც სექტორთა, ისე მმართველობის დონეებს შორის და უმთავრესად მოიცავს მონიტორინგს, უკუკავშირს და მექანიზმების რევიზიას (OECD, 2007b). მაგალითად, რეფორმების ეროვნული სტრატეგიული ჩარჩო ევროკავშირის ქვეყნებში, ეროვნული სივრცითი სტრატეგია იაპონიაში და კომპლექსური ეროვნული ტერიტორიული გეგმა კორეაში.

✓ **სპეციალური დანაყოფების ან სააგენტოების შექმნა, რაც უზრუნველყოფს დაგეგმარებას და საკონსულტაციო მხარდაჭერას შეთანხმებული პოლიტიკის უზრუნველსაყოფად სექტორთა შორის ცენტრალურ დონეზე.** რამდენიმე ქვეყანაში შეიქმნა მაღალი დონის „სპეციალური დანაყოფები“ სექტორებს შორის თანამიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. რაც უფრო ახლოს არიან ამ დანაყოფთა კოორდინატორები უმაღლეს აღმასრულებელთან, მით მაღალია სექტორულ სამინისტროთა შორის თანამშრომლობის სტიმული. მაგალითად, DATAR, რომელიც პირდაპირ არის დაკავშირებული პრემიერ-მინისტრის ოფისთან საფრანგეთში და სივრცითი დაგეგმარების ავსტრიული კონფერენცია (ÖROK) ფედერალური კანცლერის დაქვემდებარებაში. სექტორულ სამინისტროთა სპეციალური დანაყოფების მაგალითებია ასევე იაპონიის მიწის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და ტურიზმის სამინისტროს რეგიონული დაგეგმარების ბიურო და ნიდერლანდების ეკონომიკურ საკითხთა სამინისტროს სივრცითი ეკონომიკის პოლიტიკის დირექტორატი.

✓ **რეგიონული მინისტრები.** მინისტრებმა თავიანთი პორტფელეებში უნდა ჩართონ პროგრამებისა და პოლიტიკის ტერიტორიული ასპექტები. მაგალითად, კანადას, ქვეყნის მოცულობიდან გამომდინარე, აქვს „რეგიონული მინისტრების“ კონვენცია, რაც გულისხმობს იმ მინისტრების დანიშვნას, რომელთაც აქვთ რეგიონული პასუხისმგებლობები და წარმოადგენენ მათი შესაბამისი რეგიონის ინტერესებს. მინისტრები თავის რეგულარულ (სექტორულ) პორტფელს უთავსებენ რეგიონულ პოლიტიკურ როლთან დაკავშირებულ მოვალეობებს. საფრანგეთსა და ნიდერლანდებში დანიშნულია მინისტრი, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის მთავარი რეგიონის ინტერესებს, მაგ: პარიზის დედაქალაქის განვითარების სახელმწიფო მდივანი და რანშტადის მინისტრი.

✓ **ტერიტორიული მედეგობის (Territorial proofing) მექანიზმები.** ტერიტორიული მედეგობა არის მექანიზმი, რომელიც მონიტორინგს უწევს სახელმწიფო პოლიტიკას, რათა უზრუნველყოს გარკვეულ ტერიტორიაზე მისი უარყოფითი გავლენის პრევენცია. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ თუ მედეგობა არ არის დანერგილი პოლიტიკის შექმნის ადრეულ ეტაპზე, პოლიტიკის გავლენის შესაძლებლობა შესაძლოა მკვეთრად შეიზღუდოს. გაერთიანებული სამეფოსა და კანადის პრაქტიკული რურალური სისტემების გარდა, უკვე კორეამაც წარმოადგინა პრაქტიკული რურალური მექანიზმი. ფინეთში, დასაქმებისა და ეკონომიკის სამინისტრომ მოსთხოვა სექტორული პოლიტიკის შემქმნელებს გამოეაშკარავებინათ მათი რეგიონული სტრატეგიები და რეგიონული ზემოქმედების შეფასებები (რეგიონული მედეგობა) 2004 წლიდან. ათი ძირითადი სექტორული სამინისტრო ვალდებულია განსაზღვროს მათი პასუხისმგებლობის სფეროსთან დაკავშირებული რეგიონული განვითარების გეგმები, რაც შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგიონული განვითარების აქტის გზამკვლევის/მითითებებს და სახელმწიფოს მიერ 2004 წელს მიღებულ რეგიონული განვითარების ცხრა მიზანს.

✓ **ფინანსების გაერთიანება და/ან თანმიმდევრული/შესაბამისი და კომპლექსური ბიუჯეტის შედგენა.** ფინანსური ინსტრუმენტების ინტეგრირება აუმაჯობებს სექტორთა შორის გამჭვირვალობას და სინერგიას. მექსიკამ დააჯგუფა სამინისტროების მიერ რურალური პოლიტიკისთვის გამოყოფილი ბიუჯეტები სპეციალური შეთანხმებული სასოფლო განვითარების პროგრამის ფარგლებში (PEC) მოქცეულ ოფიციალურ რურალურ ბიუჯეტში. კორეამ მრავალი სპეციფიკური დანიშნულების ეროვნული გრანტი გარდაქმნა ძირითად გრანტებად და დააფუძნა რეგიონული განვითარების სპეციალური ანგარიში. შემდეგ უკვე შემოიღეს მიზნობრივი გრანტები მუნიციპალიტეტებზე გადასაცემად, როგორც ორგანოებზე, რომლებიც ავტონომიურად ადგენენ პროექტებს.

ცენტრალურ დონეზე რეგიონული განვითარების პოლიტიკის კოორდინაცია გამომწვევას წარმოადგენს და ქვეყნების უმრავლესობაში არ არსებობს ძლიერი უწყება, რომელიც სხვადასხვა მიმართულების სამინისტროებთან არბიტრაჟის ფუნქციას შეასრულებდა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ მაკოორდინირებელი ორგანოები მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, გადანაცვების მიღების ძალაუფლება პრინციპულად რჩება პოლიტიკის განმახორციელებელი სექტორული სამინისტროების ხელში. შესაბამისად, მაშინ, როცა დაგეგმარება მეტ-ნაკლებად კარგად ინტეგრირებულია, იმპლემენტაცია პოტენციურად დანაწევრებული პროცესია. ერთობლივი დაგეგმარებისა და პოლიტიკის განხორციელებისთვის სამართლებრივი ჩარჩოს შექმნას თავისთავად არ მიყვარათ იურისდიქციათა შორის არსებით თანამშრომლობამდე. ხანდახან, ინტეგრირებული გეგმა წარმოადგენს მხოლოდ პროგრამების ნუსხას და არა ინსტრუმენტს პროგრამათა შორის სინერჯის ასამოქმედებლად. სექტორულ იმპლემენტაციასთან დაკავშირებული პრობლემების გადასალახად რეგიონული განვითარების სხვადასხვა პოლიტიკის ურთიერთშეთანხმების გამრდილ მნიშვნელობასთან ერთად, სამინისტროთაშორის მაკოორდინირებელ ორგანოებს ზოგჯერ პოლიტიკის იმპლემენტაციის პასუხისმგებლობაც გადაეცემა. (მაგ: DATAR საფრანგეთში). საჭიროა ფინანსური რეჟიმების და თანამშრომლობითი კულტურის გათვალისწინებაც.

ვერტიკალური მმართველობა: მრავალდონიანი მმართველობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეებზე

სახელისუფლო დონეებს შორის ურთიერთობას (მრავალდონიანი მმართველობა) ახასიათებს ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება, რამდენადაც შეუძლებელია პოლიტიკური ვალდებულებებისა და შედეგების სახელისუფლო დონეებს შორის სრული განცალკევება: განსახორციელებელი დაგეგმვები, გადასალახი წინააღმდეგობები და/ან შესასრულებელი ამოცანები მოქმედ ხელისუფალთა შორის კოორდინაციას მოითხოვს. ეროვნული, რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლებების ძლიერ მხარეთა ფუნქციური კომბინაცია იწვევს მრავალდონიანი მმართველობის სისტემატიზაციას, რომლის მიზანია პასუხისმგებლობის, ძალაუფლების, უნარებისა და რესურსების გაზიარება. ეს ერთდროულად შეიძლება იყოს ვერტიკალურიც (ხელისუფლების სხვადასხვა დონეთა შორის) და ჰორიზონტალურიც (ხელისუფლების ერთსა იმავე დონეთა შორის), რადგან საკომუნიკაციო და საკოორდინაციო ხაზები მოცემული პოლიტიკის ამოცანებისთვის შესაძლოა ერთმანეთს კვეთდეს და მოიცავდეს სხვადასხვა მოქმედ პირებს და მონაწილე მხარეებს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში და მოქალაქეებში (OECD, 2009a).

სახელისუფლო დონეებს შორის ურთიერთობათა მენეჯმენტისას მოქმედ პირებს ყველა დონეზე წინააღმდეგობები ხვდება, ეს, შესაძლოა არსებობდეს როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ დონეზე და გამომწვეული იყოს ერთი სახელისუფლო დონის მეორეზე დამოკიდებულებით - ინფორმაციულად, უნარებით, რესურსებით ან კომპეტენციით. წინააღმდეგობათა გადალახვაზე ბრუნვა მრავალდონიანი მმართველობის ერთ-ერთი უპირველესი გამომწვევაა. ქვეყნები, შესაძლოა, მეტ-ნაკლები ხარისხით აწყდებოდნენ რომელიმე წინააღმდეგობას, მაგრამ ურთიერთდამოკიდებულების გამო, რაც მომდინარეობს დეცენტრალიზაციისგან და მრავალდონიანი მმართველობის ურთიერთობათა ქსელური დინამიკისგან, ისინი ამ პრობლემების პირისპირ ერთდროულად დგანან. (Charbit and Michalun, 2009).

გრაფა 1.1. მრავალდონიანი მმართველობის ხუთი გამოწვევა

ქვემოთ მოცემულია მრავალდონიანი მმართველობის ხუთი ძირითადი გამოწვევა: საინფორმაციო, ქმედუნარიანობა, ფისკალური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური.

x საინფორმაციო გამოწვევა: ხასიათდება საინფორმაციო ასიმეტრიულობით სახელისუფლო დონეებს შორის საჯარო პოლიტიკის შექმნის, იმპლემენტაციის და მიწოდების დროს.

x ქმედუნარიანობის პრობლემა: იქმნება, როდესაც სახეზეა ადამიანური, ცოდნის ან ხელმისაწვდომი ინფრასტრუქტურული რესურსების ნაკლებობა ამოცანათა შესასრულებლად მიუხედავად სახელისუფლო დონისა.

x ფისკალური გამოწვევა: გამოწვეულია სუბნაციონალურ შემოსავლებსა და სუბნაციონალური ორგანოების მიერ უფლებამოსილების შესასრულებლად აუცილებელ ხარჯებს შორის სხვაობით. ეს მიუთითებს პირდაპირ დამოკიდებულებაზე უმაღლეს სახელისუფლო დონეებზე ვალდებულებათა შესასრულებლად დაფინანსების და ფისკალური შესაძლებლობების მიმართულებით.

x ადმინისტრაციული გამოწვევა: ჩნდება, როცა ადმინისტრაციული საზღვრები არ შეესაბამება ფუნქციურ ეკონომიკურ სივრცეებს სუბნაციონალურ დონეზე.

x პოლიტიკური გამოწვევა: დგება, როდესაც სამინისტროები მიმართავენ სექტორში პოლიტიკის მიმართ წმინდა ვერტიკალურ მიდგომას (მაგ: ენერჯეტიკის პოლიტიკა, წყლის პოლიტიკა, ახალგაზრდული პოლიტიკა და ა.შ.)

წყარო: Charbit, C. and M. Michalun (2009), "Mind the Gaps: Managing Mutual Dependence in Relations among Levels of Government", *OECD Working Papers on Public Governance*, No. 14, OECD Publishing, Paris, DOI:10.1787/221253707200.


OECD/ეთგო წევრ ქვეყნებს შემუშავებული აქვთ მექანიზმების ფართო პაკეტი საინფორმაციო, ქმედუნარიანობის, ფისკალური, ადმინისტრაციული და პოლიტიკური გამოწვევების დასაძლევად; ასევე მრავალდონიანი პოლიტიკის შექმნისას თანხმობის გასაუმჯობესებლად და უთანასწორობის შესამცირებლად, რაც გამოწვეულია დავალებებისა და რესურსების გადანაწილებით (გრაფიკი 1.7. ცხრილები: 1.A1.6 და 1.A1.7). ეს მექანიზმები, რომელთა დიაპაზონიც ფორმის მიხედვით „დამაკავშირებელიდან“ „სუსტამდე“ მერყეობს, რეგულაციური ან მხოლოდ მრავალდონიანი მმართველობისთვის ფართო თეორიულ კონტექსტში, არამედ პრაქტიკული შემთხვევებისთვისაც საჯარო მმართველობის სფეროში. მათი წარმატებული გამოყენება დამოკიდებულია და ამავე დროს უზრუნველყოფს კომუნიკაციასა და დიალოგს ხელისუფლების დონეებს შორის; ასევე ინტერესებისა და დროის რეგულირებას გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებასთან ერთად.

კონტრაქტების ან ხელშეკრულებების დადება შესაბამის ორგანოებთან საერთო მიზნების მისაღწევად ნაციონალურ და რეგიონული კონტრაქტები ან სხვა ნაკლებად ფორმალური შეთანხმებები ემსახურება იმას, რომ ეროვნული დონის პოლიტიკური გადაწყვეტილებები და რეგიონული პრიორიტეტები ჰარმონიულად და „სინერგიულად“ უწყობს ხელს ეროვნული განვითარების მიზნების შესრულებას. ეს ხშირად მოიცავს ხელშეკრულებებს საბიუჯეტო შეთანხმებების შესახებ ან ერთობლივ ფინანსურ დონისძიებებს. მაგალითად, სახელმწიფო-რეგიონული საპროექტო კონტრაქტი საფრანგეთში, ინსტიტუციური შეთანხმებები და ჩარჩო პროგრამული შეთანხმებები იტალიაში და რეგიონული კონტრაქტი პოლონეთში. ხშირად კონტრაქტები გრანტებთან შედარებით უფრო მოქნილია და იძლევა საკითხთა უფრო ფართო წრის გარშემო მოლაპარაკების შესაძლებლობას. კონტრაქტების მოქნილი ხასიათი სუბნაციონალურ მთავრობებს საშუალებას აძლევს მოერგონ ადგილობრივ პრეფერენციებს და ხასიათს. კონტრაქტებთან დაკავშირებული გამოწვევები, რაც შეინიშნება OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში, მოიცავს ტრანზაქციების მაღალ ღირებულებას, ძალაუფლების გადახრას მაღალი დონის მმართველობისკენ ან შეფასების არასაკმარის პროცედურებს ყველა მხარის მიერ ვალდებულებათა შესრულების უზრუნველსაყოფად. ზოგიერთი ქვეყანა იხრება

კონტრაქტების რაოდენობის ზრდისკენ, რამაც, შესაძლოა გაართულოს მართვა (OECD, 2007c). მაგალითად, საფრანგეთში აუდიტორთა სასამართლომ (*Cour des Comptes*) აღნიშნა, რომ სხვადასხვა ტიპის კონტრაქტების დიდი რიცხვი (მაგ.: ურბანული, საქალაქო, აგლომერაციული, მეტროპოლიური და სახელმწიფო-რეგიონული) მთლიან სისტემას მეტად კომპლექსურს და ნაკლებად ანგარიშვალდებულს ხდის.

გრაფიკი 1.7. ვერტიკალური მმართველობის მექანიზმები

(ქვეყნების მაჩვენებელი)
 მრავალდონიანი მმართველობა ეროვნულ და სუბნაციონალურ დონეზე



შენიშვნა: ზოგ ქვეყანას მიღებული აქვს ერთზე მეტი მექანიზმი.

ძალაუფლების დელეგირება სუბნაციონალურ დონეზე ეროვნული ჩარჩო და დაგეგმარების სისტემების კონტექსტში. ტრადიციულად ცენტრალიზებული ადმინისტრაციული მოდელის მქონე ქვეყნებში „კოორდინირებული რეგიონალიზაციის“ პროცესები თვალსაჩინოა. ამ პროცესების ზეგავლენით რეგიონული გეგმები ეროვნულ მიზნებს თუ მარეგულირებელ გაიდლაინებს ემორჩილება. იაპონიის სივრცითი დაგეგმარების სისტემა მოითხოვს, რომ რეგიონული სივრცითი დაგეგმარების სისტემები შეესაბამებოდეს ეროვნულ სტრატეგიას. უნგრეთში, სივრცითი განვითარების ეროვნული კონცეფცია განსაზღვრავს სივრცითი განვითარების საყოველთაო ამოცანებს და გამოსცემს გზამკვლევს რეგიონული პროგრამების შესამუშავებლად. რეგიონული განვითარების სააგენტოები ინგლისში ვალდებულნი არიან მხედველობაში მიიღონ ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკის ამოცანები და საქმიანობა შეუსაბამონ ეროვნული ხელისუფლების მიერ დასახულ მიზნებს.

✓ **ეროვნული ვალდებულებების დეკონცენტრაცია სუბნაციონალურ დონეზე** ხშირად რეგიონული განვითარების სააგენტოების ფორმას იღებს. მაგალითად, კანადაში ფედერალურმა ხელისუფლებამ მიზნად დაისახა მყარი, ეფექტური რეგიონული განვითარების სააგენტოების (RDAs) მშენებლობა და რამდენადაც შესაძლებელია, ხელისუფლების უმაღლესი პირების ჰარმონიული ჩართულობა რეგიონულ რეალობაში. ეს სახელმძღვანელო პრინციპი მოითხოვს მაღალ კოორდინაციას და ურთიერთხელმისაწვდომობას ფედერალურ მთავრობას და რეგიონულ აქტორებს შორის. რეგიონში მაღალი დონის ფედერალური გადანაცემების მიღების შესაძლებლობა ხელს უწყობს გაცილებით პირდაპირ თანამშრომლობას ძირითად საჯარო პარტნიორებთან. მიუხედავად იმისა, რომ RDA - რეგიონული განვითარების სააგენტოს სათაო ოფისები რეგიონშია, მას აქვს ოფისები დედაქალაქშიც, რომელთა როლია ფედერალური

პოლიტიკის დღის წესრიგის მონიტორინგი და მასზე ზეგავლენა. მაგალითად, თუ ეროვნული დეპარტამენტი იწყებს ახალ პოლიტიკას ან პროგრამას, რომელსაც გავლენა ექნება რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, RDA - რეგიონული განვითარების სააგენტოს აქვს მანდატი უზრუნველყოს, რომ რეგიონის პრიორიტეტები და ინტერესები ფედერალურ პოლიტიკასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებული იყოს.

✓ **სტრატეგიული კოორდინაციის კომიტეტებსა და პარტნიორობის ჯგუფებში ერთობლივი მონაწილეობა.** სხვადასხვა დონის ძირითადი აქტორების ინტერესები და წვლილი კოორდინირებულია ადმინისტრაციულ ორგანოებში ერთობლივი წარმომადგენლობების მეშვეობით. სტრატეგიული პროგრამირების მიმართულებით რეგიონული პოლიტიკის ცვლილებამ უზრუნველყო ჩარჩოს შექმნა საკოორდინაციო კომიტეტებისა და ჯგუფებისთვის. მაგალითად, რეგიონული განვითარების საბჭო ავსტრალიაში, ერთობლივი ამოცანა რეგიონული ეკონომიკის სტრუქტურის გაუმჯობესებისთვის (GRW) გერმანიაში და რეგიონული პრეზიდენტების კონფერენცია ესპანეთში.

✓ **რეგიონული მინისტრი.** რეგიონული მინისტრი (იხილეთ ჰორიზონტალური მმართველობის ნაწილი) მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვერტიკალურ მმართველობაში, აკავშირებს რა ადგილობრივ ინტერესებს და ეროვნულ პოლიტიკას, მაგრამ ბევრ ქვეყანაში ეს მიღებული არ არის.

✓ **მიზნის დასახვა და ფისკალური სტიმულირება.** ამოცანაა თანამშრომლობის წახალისება ტრანსფერებზე გარკვეული პირობების (მიზნების) მიზნით. მაღალი დონის ხელისუფლება ადგენს თამაშის წესებს, ხოლო მიზნები დასახულია უმთავრესად გრანტის მიმღები ხელისუფლებისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით. ტარდება კონკურსი დაფინანსების მისაღებად და ხდება შერჩეული პროექტების თანადაფინანსება. ამ პროექტებს მონიტორინგს უწევს და აფასებს მონაწილე სახელისუფლო ორგანოები. საყურადღებოა, რომ გრანტის მიმღებ სახელისუფლო ორგანოებს აქვთ მოტივაცია, რათა დასახონ იოლად მისაღწევი მიზნები. მაგალითად, იტალიაში, 2007-13 წლების პერიოდში, რეგიონულმა პოლიტიკამ მიზნად დაისახა ძირითადი სერვისების მიწოდების და ხარისხის უზრუნველყოფა (გაიზომებოდა 11 ინდიკატორით), რაც მიღწეული უნდა ყოფილიყო 2013 წლისთვის სამხრეთ რეგიონებში. ამ მიზნების მისაღწევად დაახლოებით 3 მილიარდი ევრო გამოიყო. ხდება ადგილობრივი მთავრობების სტიმულირება იმ სერვისების მიწოდებისა და მენეჯმენტისთვის, რაც გააუმჯობესებს მათ საქმიანობას რეგიონში ჩამოყალიბებული ფორმალური სტიმულირების მექანიზმების ჩარჩოს ფარგლებში განსაზღვრულ ინდიკატორებთან მიმართებაში. ახალი სქემით წარმოდგენილია კონკურენტუნარიანობის ელემენტები (მონეტარული პრემია და რეპუტაციული სტანდარტი) რეგიონებს შორის, რამდენადაც რეგიონები ერთობლივად და კონსენსუსით იღებენ გადაწყვეტილებებს პრიორიტეტული ზონების, მიზნების, ინდიკატორებისა და პროცედურების შესახებ.

✓ **საბიუჯეტო პროცესი.** როგორც ზემოთ განვმარტეთ, ფინეთში, ძირითადი სექტორული სამინისტროები ვალდებული არიან განსაზღვრონ რეგიონული განვითარების გეგმა მათი უფლებამოსილების სფეროში, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს კანონმდებლობით განსაზღვრულ რეგიონული განვითარების აქტის გაიდლაინებთან და სახელმწიფოს მიერ 2004 წელს მიღებულ რეგიონული განვითარების ცხრა მიზანთან.

✓ **ცენტრალურ-რეგიონული პროგრამის გუნდი.** ეს არის ვერტიკალური თანამშრომლობის სისტემების ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული ფორმა. ნიდერლანდებში, ეკონომიკურ საკითხთა სამინისტროს სივრცითი ეკონომიკის პოლიტიკის დირექტორატი რეორგანიზებული იყო რეგიონული ხაზით (და არა სექტორული ხაზით), რაც ეყრდნობოდა ცენტრალურ-რეგიონული პროგრამის ერთობლივ გუნდებს. ამავე დროს,

სამინისტროს ხუთი რეგიონული ოფისი დაჯგუფდა ამავე სამინისტროში და ახალ პროგრამულ ჯგუფად ინტეგრირდა. რეგიონული დონის დისკუსიებმა შესაძლებელი გახადა რეგიონული ეკონომიკური განვითარების პოტენციალზე დაფუძნებული ეროვნული იდეის წარმოშობა, რაც წარმოქმნის ჩარჩოს რეგიონებში პოლიტიკის იმპლემენტაციის კოორდინირებისთვის. რეგიონული პიკების გუნდების, როგორც პროგრამის სამდივნოების და რეგიონულ დონეზე განმახორციელებლების ჩართულობა ასევე აუმჯობესებს კოორდინაციას, რამდენადაც უზრუნველყოფს თითოეული პროგრამის კომისიის აქტიურ წარმოდგენას ეკონომიკის საკითხთა სამინისტროს უმაღლეს ოფიციალურ დონეზე.

ცენტრალურ დონეზე გადაწყვეტილების მიღებისა და მენეჯმენტის ფრაგმენტაცია სერიოზულ პრობლემებს იწვევს სუბნაციონალურ დონეზეც. შესაბამისად, დონისძიებები, რომლებიც ვერტიკალურ მმართველობას უწყობს ხელს, ასევე ეხმარება ჰორიზონტალურ მმართველობასაც ცენტრალურ დონეზე და პირიქით. მაგალითად, იტალიაში, 2004 წლიდან მოქმედი ინსტიტუციური შეთანხმება (*Intesa istituzionale di programma*) არა მხოლოდ ჰორიზონტალური თანამშრომლობის მექანიზმებს მოიცავს, არამედ ფასილიტაციას უწევს მოლაპარაკებებს რეგიონულ და ცენტრალურ დონეებს შორის ძირითადი საჯარო ინვესტიციების შესახებ. ეს შეთანხმება კოდიფიცირებულია ეროვნულ დონეზე ჩარჩო პროგრამული შეთანხმებებით (*Accordo di programma quadro*), სადაც ცენტრალური ადმინისტრაცია და რეგიონები ადგილობრივ ხელისუფლებასთან და კერძო სექტორთან ერთად შეიმუშავენ მრავალწლიანი ინტერვენციის გეგმას, რომელიც მოიცავს ძირითად პროექტებსა და აქტივობებს, აუცილებელ/საჭირო პროცედურებს, მოვალეობათა გადანაწილებას, დაფინანსების წყაროებს და მონიტორინგისა და შეფასების სისტემებს.

რეგიონული დონის მმართველობა ეროვნულ და ადგილობრივ დონეებს შორის (მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ცენტრალური მმართველობისგან) რეგიონული პოლიტიკის შემუშავებას და იმპლემენტაციას გაცილებით მნიშვნელოვანს ხდის. (ცხრილები 1.5 და 1.5). პოლიტიკის ადმინისტრაციის მიმართ მიდგომების ცვლილებამ და რეგიონული პოლიტიკის ამოცანების შეცვლამ ხელი შეუწყო დეცენტრალიზაციის პროცესს და რეგიონული დონის მმართველობის მნიშვნელოვნების ამაღლებას. ევროკავშირის ქვეყნების შემთხვევაში, ეს მიმართულება მკაფიოდ მხარდაჭერილი იყო ევროკავშირის სტრუქტურული ფონდების განაწილების სისტემის მიერ, რომელიც ეფუძნება NUTS 2 რეგიონს. მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში, კონსტიტუცია (1993) რეგიონებს განიხილავს, როგორც თვითმმართველ ერთეულებს. თუმცა, რეგიონების შექმნა აქტუალური გახდა ევროკავშირის რეგიონული პოლიტიკის სტიმულირების შედეგად. შვედეთმა ასევე გააძლიერა რეგიონული მიმართულება ზოგიერთ საპილოტე რეგიონში ოლქების (სკანე და ვასტრა გოტლანდი) გაერთიანებით 1999 წელს.

გარკვეულ კონტექსტში, რეგიონალიზაცია ასევე ეხება სუბნაციონალური (ძირითადად ადგილობრივი) ადმინისტრაციული საზღვრებისა და ქმედუნარიანობის ხელახალ ფორმირებას. ადმინისტრაციულ სტრუქტურებსა და ფუნქციურ სივრცეებს შორის, სადაც სხვადასხვა ეკონომიკური პროცესები მიმდინარეობს, შესაძლოა, დაძაბულობა გაჩნდეს. მიზანია დავრწმუნდეთ, რომ მოქმედი ჩარჩო საკმარისად მოქნილია და აქვს შესაძლებლობა ადაპტირდეს რეგიონული პოლიტიკის გაფართოებულ დღის წესრიგთან, უპასუხოს ეკონომიკური ზრდის ფაქტორებს, რამაც, შესაძლოა, დაარღვიოს ორგანიზაციული საზღვრები და ადმინისტრაციული რუკები. დანაწევრებული სისტემა შეიძლება გულისხმობდეს, რომ ინსტიტუციებს არ აქვთ ეფექტური ოპერირებისთვის საჭირო კრიტიკული უმრავლესობის ჩამოყალიბების უნარი. ზოგიერთ ქვეყნებში ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა ან გადაისინჯა. მაგალითად, დანიის 2007 წლის სტრუქტურული

რეფორმა მიზნად ისახავდა სუბნაციონალური ხელისუფლებების საქმიანობის გაუმჯობესებას მათი მოცულობის გაზრდის გზით. ეს მიღწეული იყო მუნიციპალიტეტების მიმართ წაყენებული მოთხოვნით ერთმანეთთან თანამშრომლობის, ანდა გამსხვილების შესახებ, რათა მოსახლეობის რაოდენობას გარკვეული ბარიერისთვის მიეღწია. მუნიციპალიტეტების გამსხვილების ტალღის შედეგად მუნიციპალიტეტების რაოდენობა 271-დან 98-მდე შემცირდა. რეგიონულ დონეზე კი არსებული 16 ოლქი 5-მა რეგიონმა ჩაანაცვლა. ყოველივე ამის გონივრული დასაბუთება მდგომარეობს იმაში, რომ რეგიონული მმართველობა აქცენტირებული უნდა იყოს სახალხო ჯანდაცვის სერვისების მიწოდებაზე და აუცილებელია რეგიონული მმართველობის ერთეულების მოცულობის გაზრდა მათი ეფექტურობის გასაზრდელად.

ცხრილი 1.4. დეცენტრალიზებული რეგიონების თანამედროვე ჩამოყალიბება და გაძლიერება

ჟვეყანა	დასახელება	წელი	არჩევითი წევრობა	ფისკალური უფლებამოსილება	შენიშვნა
ჩეხეთის რესპუბლიკა	რეგიონები (kraje)	დაარსდა 2001	დიახ	დიახ, მაგრამ ლიმიტირებული	
ჩეხეთის რესპუბლიკა	შერწყმული რეგიონები	დაარსდა 2007	არა		წევრები აირჩევა რეგიონების (Kraje) ასამბლეათა მიერ
ჩილე	რეგიონები	დაარსდა 1993	დიახ (2010-ის შემდეგ)		მმართველი (რეგიონული საბჭოს თავმჯდომარე დანიშნულია პრეზიდენტის მიერ
დანია	რეგიონები	დაარსდა 2007	დიახ	არა	გრანტები მომდინარეობს სახელმწიფოსა და მუნიციპალიტეტებიდან
ფინეთი	რეგიონები		არა	არა	რეგიონული საბჭოს წევრობა შედგენილია წევრი მუნიციპალიტეტებისგან. ის ასევე ფინანსდება წევრი მუნიციპალიტეტებისგან
საფრანგეთი	რეგიონები	გაძლიერდა 2003-04	დიახ	დიახ	
იტალია	რეგიონები	გაძლიერდა გვიან 1990-იანებში	დიახ	დიახ	
ნორვეგია	ოლქები	გაძლიერდა 2004, 2010	დიახ	დიახ, შემღუდულად	
პოლონეთი	რეგიონები	დაარსდა 1999	დიახ	დიახ, მაგრამ შემღუდულად	
სლოვაკეთის რესპუბლიკა	რეგიონები	დაარსდა 2002	დიახ		
ესპანეთი	რეგიონები	გაძლიერდა 1980-2000-ში	დიახ	დიახ	
შვედეთი	რეგიონები/ოლქები	გაძლიერდა 1997-დან	დიახ (ნაწილობრივ)	დიახ (ნაწილობრივ)	სტრუქტურული განსხვავებები რეგიონებს შორის
ბავარიის რესპუბლიკა	–	დაარსდა 1999	დიახ	დიახ	ინგლისის გარდა

რეგიონული რეფორმის მიმართულებით უამრავი ალტერნატივა არსებობს და ქვეყნების არჩევანი გამომდინარეობს მათი ადმინისტრაციული კონტექსტიდან. იმისთვის, რომ ადმინისტრაციული რეგიონები ფუნქციური გახდეს, OECD/ეთგო წევრ ქვეყნებს შემუშავებული აქვთ მმართველობის ინსტრუმენტების წყება - ე.წ. „პლასტიურიდან“ თანამშრომლობით ინსტრუმენტებამდე, როგორცაა ერთობლივი სადისკუსიო პლატფორმები სააგენტოებთან, რომლებსაც აქვთ განსაკუთრებული საკოორდინაციო მანდატი პოლიტიკის გარკვეულ სფეროებში (როგორცაა ტრანსპორტი), ახალი ადმინისტრაციული რეგიონების შექმნამდე. უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ქვეყანამ წარმატებით შეძლო მმართველობის ახალი რგოლების შექმნა არსებული ადმინისტრაციული დანაყოფების შერწყმით. დანია და ჩეხეთის რესპუბლიკა ამისი მაგალითია. საფრანგეთში, იტალიასა და პოლონეთში შეიქმნა ახალი რეგიონები ქვედა ადმინისტრაციული ერთეულების (დეპარტამენტებისა და პროვინციების) გაუქმების გარეშე. ესპანეთში, შვედეთსა და გაერთიანებულ სამეფოში იყენებენ საინტერესო მეთოდს, რომელსაც ჰქვია „ასიმეტრიული დეცენტრალიზაცია,“ რაც დამოკიდებულია სხვადასხვა საჭიროებებზე, შესაძლებლობებსა და სოციო-კულტურულ კონტექსტზე რეგიონების მიზიდვით. (გრაფა 1.2.)

გრაფა 1.2. ასიმეტრიული დეცენტრალიზაცია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში

ერთსა და იმავე ტერიტორიაზე სხვადასხვა ხარისხის დეცენტრალიზაციის კომბინირებისას, ან დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის კომბინირების შემთხვევაში, ზოგიერთი ქვეყანა იყენებს ასიმეტრიული დეცენტრალიზაციის სისტემებს. ფაქტობრივად, ესაა ორი ტიპის ასიმეტრიული მოწყობა: ნაწილი გამოწვეულია პოლიტიკური მიზნებით ეთნიკური თუ რეგიონული დაძაბულობის განსამუხტად (ასეთი შემთხვევები არის ესპანეთსა და გაერთიანებულ სამეფოში), ან ეფექტურობის მიზნით, უკეთესი მაკროეკონომიკური მენეჯმენტისა და ადმინისტრაციული ერთეულოვნების მისაღწევად, რაც საშუალებას მისცემს სხვადასხვა შესაძლებლობების მქონე სუბსაციონალურ მმართველობებს, სრულყოფილად განახორციელონ მათი ფუნქციები და უფლებამოსილები (მაგალითად, ფინეთსა და შვედეთში). ძველი ყაიღის მიდგომა, რომელიც აშკარად მიემართება არაეკონომიკურ პრობლემებს, შესაძლოა ორმხრივად იყოს იმპლემენტირებული ეტაპობრივი ან საკონტრაქტო მეთოდებით, რომლის ფარგლებშიც დანაყოფებს, რომლებიც აკმაყოფილებს გარკვეულ სტანდარტებს (ბიუჯეტის მოცულობა, ინსტიტუციური განვითარება) შეიძლება გადაეცეთ დანარჩენებთან შედარებით მეტი ავტონომია. ალტერნატიულ შემთხვევაში, ასიმეტრია შეიძლება გამოყენებული იქნას უფრო განზოგადებულად, წინასწარ განსაზღვრული წესების მიხედვით.

ასიმეტრიული დეცენტრალიზაცია პოლიტიკური მიზნებით (მაგ: ესპანეთი, გაერთიანებული სამეფო): ესპანეთში, ძირითადი ფინანსური, პოლიტიკური და სამართლებრივი კომპეტენციები, ეკონომიკური განვითარების ჩათვლით გადაცემული აქვს ე.წ. ავტონომიურ თემებს (რეგიონულ მმართველობებს) ადრეულ 1980-იანებში (1979-83). ძალაუფლების დელეგირების პროცესი 1999 წელს დაიძრა ასიმეტრიული დეცენტრალიზაციიდან სიმეტრიული ფედერალიზმის მიმართულებით, რაც გულისხმობს, რომ ძალაუფლების გადაცემა ხდება ერთი რეგიონული მმართველობიდან მეორეზე და ერთი მმართველობის ფარგლებშიც ეტაპობრივად. სხვა რეგიონული მმართველობებისგან განსხვავებით, ნავარისა და ბასკეთის თემებს ისევ აქვთ საგადასახადო უფლებამოსილებები. გაერთიანებულ სამეფოში, დელეგირების სტრატეგიის პრინციპები და პოლიტიკის მიზნდება დაიწყო 1999 წელს შოტლანდიური და უელსური დელეგირებით. პირდაპირი წესით არჩეული ასამბლეები დაფუძნდა შოტლანდიაში, უელსსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში, ასევე ლონდონს ჰყავს საკუთარი ასამბლეა და მერი. ცვლილებები ლონდონის გარეთ ინგლისის რვა რეგიონში კიდევ უფრო კომპლექსურია. ინსტიტუციები განსხვავდება რეგიონების მიხედვით.

ასიმეტრიული დეცენტრალიზაცია ეფექტურობის მიზნით (მაგ: ფინეთი, შვედეთი). 1997 წლიდან შვედეთში წარმოდგენილია განსაკუთრებული ინსტიტუციური მოწყობა Västra Götaland-ის (სამი ოლქი ქალაქ გეტებორგის ჩათვლით) და Skåne-ს (ორი ოლქი) რეგიონებისთვის: ოლქები გაერთიანდა და შეიქმნა რეგიონული საბჭოები, რომლებიც პასუხს აგებენ არა მხოლოდ მათთვის ტრადიციული ამოცანების შესრულებაზე, როგორცაა ჯანმრთელობის დაცვა, არამედ რეგიონული და ეკონომიკური განვითარების პროგრამებზე, ასევე რეგიონულ ინფრასტრუქტურაში ინვესტირებაზე, რომელსაც, როგორც წესი, უძღვება ქვეყნის ადმინისტრაციული მმართველი ორგანო. Skåne-სა და Västra Götaland-ში რეგიონული საბჭოები პირდაპირი წესით არის არჩეული. რეგიონალიზაციის ეს გამოცდილება მხოლოდ საცდელ დონეზე იყო ნავარაუდები. საცდელი პერიოდი გახანგრძლივდა 2010 წლამდე. დებატები რეგიონალიზაციის შესახებ შვედეთის პოლიტიკურ დღის წესრიგში კვლავ მიმდინარებს, რამდენადაც ოლქებში არ არის კრიტიკული უმრავლესობა, რომ პასუხი გაეცეს რეგიონული განვითარების გამოწვევებს. 2010 წლისთვის, წარმოდგენილი იყო რეგიონულ განვითარებაზე პასუხისმგებელი სამი საქვეყნო საბჭო, 12 ოლქი არაპირდაპირი გზით არჩეული რეგიონული საკოორდინაციო კომიტეტებით და ხუთი ოლქი, სადაც საოლქო ადმინისტრაციული კომიტეტი (ეროვნული ადმინისტრაცია რეგიონულ დონეზე) რჩება რეგიონული განვითარების სტრატეგიაზე პასუხისმგებელ ორგანოდ. Skåne-სა და Västra Götaland-ის გამოცდილება, შესაძლოა, გავრცელდეს ქვეყნის დანარჩენ ნაწილებზე შემდგომ წლებში, თუ მიღწეული იქნება კონსენსუსი. ფინეთის ექსპერიმენტი კაინუუს რეგიონში, შესაძლოა, ამ კატეგორიასაც მივაკუთვნოთ, თუმცა, სხვა კუთხით. კაინუში, რომელიც ფინეთის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განვითარებული რეგიონია, განხორციელდა საპილოტე პროექტი, რომლის ფარგლებშიც პასუხისმგებლობა და ძალაუფლება მუნიციპალიტეტებიდან გადაეცა რეგიონულ ხელისუფლებას, რათა გაუმჯობესებულიყო სერვისების მიწოდება და შემცირებულიყო მათი ღირებულება. კაინუუს რეგიონის გაერთიანებული მმართველი ორგანო დაფუძნდა კაინუუს რეგიონის ექსპერიმენტის აქტის საფუძველზე. დაგეგმილია ექსპერიმენტის გაგრძელება 2012 წლის ბოლომდე.

მსგავსი ასიმეტრიული დეცენტრალიზაციის შედეგების შეფასება რთულია, რამდენადაც მათ შეუძლიათ გააუმჯობესონ ან გააუარესონ საჯარო სექტორის, როგორც მთლიანის, ქმედითობა და ეფექტურობა, სერვისების მიწოდების ერთგვაროვნება ან მაკროეკონომიკური ბალანსი. უფრო მნიშვნელოვანია, რომ ამას შეუძლია გააძლიეროს ან შეასუსტოს იმ თემების ლოიალობა ეროვნული სახელმწიფოს, როგორც ერთიანის მიმართ, რომელთაც სახელმწიფო სხვადასხვაგვარად ეპყრობა. ყველაზე მნიშვნელოვანი კითხვები ასიმეტრიული დეცენტრალიზაციის შესახებ, ეხება მის ზეგავლენას პოლიტიკური წონასწორობის დინამიკაზე რაც, როგორც ჩანს, ძალიან დამოკიდებულია კონტექსტზე და ამდენად განზოგადება იოლი არ არის. (Bird, 2003).

წყარო: ეთვო (2009), „სტრატეგიული დაგეგმარება და მრავალდონიანი მმართველობა საბერძნეთში“, შიდა დოკუმენტი.

ჰორიზონტალური მმართველობა რეგიონულ დონეზე: რეგიონული დონის სტრატეგიული დაგეგმარება

ქვეყნების გაზრდილმა რაოდენობამ წარმოადგინა რეგიონული დონის საკოორდინაციო მექანიზმები განვითარების მიზნების დასახვის, დაგეგმვის ინიციატივების წამოყენებისა და რესურსების გადანაწილებისას. რეგიონული დონის სტრატეგიული დაგეგმარება პოპულარული ხდება. ევროკავშირში, ევროკავშირის კოჰესიის პოლიტიკის გავლენა ევროპულ ქვეყნებზე მხოლოდ ფინანსური არ არის; ეს აძლიერებს ადგილობრივ და რეგიონულ აქტორებს და ავითარებს მათ შესაძლებლობებს, შეადგინონ და განახორციელონ რეგიონული პროგრამები და განავითარონ პარტნიორობა კერძო აქტორებთან. 2007-13 წლების კოჰესიის პოლიტიკა მოითხოვს რეგიონებისგან რეგიონული განვითარების პროგრამების შექმნას.

არსებობს უამრავი სტრატეგია, რომლებიც შექმნილია დეცენტრალიზებული, ან დეკონცენტრირებული რეგიონების მიერ (ცხრილი 1.5. და 1.6). რეგიონული გეგმები და სტრატეგიები ნორვეგიაში და რეგიონული განვითარების პროგრამები და რეგიონული განვითარების პროგრამები შვედეთში დეცენტრალიზებული რეგიონების მაგალითებია. პროდუქტიული განვითარების პროგრამა ჩილეში და რეგიონული სივრცითი გეგმა პორტუგალიაში კი – დეკონცენტრირებული რეგიონების მაგალითები. რეგიონულ ადმინისტრაციებს შეუძლიათ წარმოადგინონ გაცილებით დეტალური ინფორმაცია მათი შესაბამისი ტერიტორიების შესახებ, ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს გაცილებით მოქნილ და ეფექტურ დაგეგმვას. პოლიტიკა მიემართება ფუნქციურ ეკონომიკურ სივრცეებს, ისევე როგორც ადმინისტრაციულს, რათა თავიდან აცილებულ იქნას მუნიციპალიტეტების დაყოფა.

სივრცით დაგეგმარებას ახლა დაფარვის უფრო ფართო ზონა აქვს, ვიდრე შეზღუდვა მიწის გამოყენების და ფიზიკური ინვესტიციების მიმართულებით. მაგალითად, იაპონიის რეგიონული სივრცითი გეგმა მოიცავს სხვადასხვა საკითხებს, როგორცაა მიწის რესურსები, სანაპირო ზონის მენეჯმენტი, კატასტროფების მართვა, ურბანული/რურალური ზონების კეთილმოწყობა, ინდუსტრიების განთავსება, ინფრასტრუქტურა, კულტურა, ტურიზმი და გარემოს დაცვა. პოლონეთში დამუშავების პროცესშია ერთიანი სივრცითი დაგეგმარება, რაც მოიცავს ფიზიკურ და სოციალ-ეკონომიკურ განვითარებას რეგიონული მასშტაბით. არსებული სამუშაო ვერსიის მიხედვით, სივრცითი მენეჯმენტის პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენს მთელი ეროვნული სივრცის ეფექტური გამოყენება, ასევე მისი ტერიტორიულად დივერსიფიცირებული შიდა პოტენციალი, რაც ხელს უწყობს ეროვნული განვითარების მიზნების მიღწევას: ზრდა, დასაქმება და გრძელვადიანი შეკავშირება.

ამ პროცესში სივრცითი და ეკონომიკური დაგეგმარება ინტეგრაციას განიცდის. გაერთიანებული სამეფოს წინა მთავრობის გეგმები მიზნად ისახავდა ინტეგრირებული რეგიონული სტრატეგიის (IRS, 2010 წლის 1 აპრილიდან) შექმნას ინგლისში, სივრცითი და ეკონომიკური დაგეგმარების ერთ რიგში გაერთიანებას და რეგიონული განვითარების სააგენტოების სტრატეგიული პროგრამირების როლის გაძლიერებას. მიზანი იყო რეგიონული პროგრამირებისა და პოლიტიკის ინსტრუმენტების მზარდი გამოყენება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ სპეციალურ ინფრასტრუქტურულ ან ბიზნეს დახმარების გაწევას, არამედ სხვადასხვა ზომების გამოყენებასაც, სივრცითი განვითარების, ინოვაციების, ურბანული განვითარების, განათლებისა და ტრენინგის, საცხოვრებელი ფონდისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობის მიმართულებით. მიზანი იყო ასევე იმ ინსტრუმენტების წარმოდგენა, რაც თავს მოუყრიდა ცენტრალური, რეგიონული და სუბრეგიონული ორგანოების სხვადასხვა კონფიგურაციებს ფუნქციური ეკონომიკის სივრცეების კონტექსტსა და ცალკეული პროგრამების ფარგლებში პოლიტიკის მიწოდებისთვის, და აქედან გამომდინარე, შეთანხმებული რეგიონული სტრატეგიული პერსპექტივის შესაქმნელად.

ცხრილი 1.5. დეცენტრალიზებული რეგიონების ფუნქციები

ჟგერა	დასახელება	დაგეგმარება	სხვა ფუნქციები გარდა ეკონომიკური განვითარებისა და დაგეგმარებისა
ჩხეთის რესპუბლიკა	რეგიონები (<i>kraje</i>)		სოციალური სერვისები, ჯანდაცვა, რეგიონული ტრანსპორტი
ჩხეთის რესპუბლიკა	შერწყმული რეგიონი		
ჩილე	რეგიონები	რეგიონული განვითარების სტრატეგია	
დანია	რეგიონები	რეგიონული განვითარების გეგმა, ბიზნესის განვითარების სტრატეგია (ზრდის ფორუმი)	ჯანდაცვა
ფინეთი	რეგიონები	რეგიონული გეგმა, რეგიონული სტრატეგიული პროგრამა	ევროკავშირის ფონდის მენეჯმენტი
საფრანგეთი	რეგიონები	რეგიონული ტერიტორიული დაგეგმარების მასტერ გეგმა, რეგიონული ეკონომიკური განვითარების მასტერ გეგმა	
იტალია	რეგიონები		
ნორვეგია	ოლქები	რეგიონული გეგმები, რეგიონული სტრატეგიები	საშუალო სკოლები, რეგიონული განვითარება მთავარი გზების ჩათვლით, რეგიონული ბიზნესის განვითარება გაფართოება და რეგიონული R&D
პოლონეთი	რეგიონები	რეგიონული სივრცითი განვითარების გეგმა (2010-ის შემდეგ)	ჯანდაცვა, უმაღლესი განათლება, შრომის ბაზრის პოლიტიკა
სლოვაკეთის რესპუბლიკა	რეგიონები	ეკონომიკური და სივრცითი განვითარების გეგმა, სივრცითი გეგმა	
ესპანეთი	რეგიონები		ჯანდაცვა, განათლება, საჯარო სამუშაოები, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი
შვედეთი	ოლქები	რეგიონული განვითარების პროგრამები, რეგიონული ზრდის პროგრამები	
შვეიცარია	კანტონები	ათწლიანი სივრცითი განვითარების გეგმა, NRP ოთხწლიანი იმპლემენტაციის პროგრამა, განათლება, ჯანდაცვა	

რეგიონულ დონეზე დაკონცენტრირებული ხელისუფლების მზარდი როლი

დეკონცენტრაციის რეფორმები (რეგიონული ხელისუფლების მიერ დანიშნული და მის მიმართ ანგარიშვალდებული სუბნაციონალურ წარმომადგენლების ჩათვლით) მკაფიოდ უნდა განვასხვავოთ დეცენტრალიზაციის რეფორმისგან (როცა ადგილობრივი ხელისუფლება არჩეულია და ანგარიშვალდებულია ადგილობრივი მოქალაქეების წინაშე). ეროვნული ფუნქციების რეგიონულ დონეზე დეკონცენტრაცია OECD/ეთგო წევრ ქვეყნებში შემუშავების პროცესშია (ცხრილი 1.6). მიმდინარე დეცენტრალიზაციასთან ერთად, ზოგმა ქვეყანამ მოხდინა დეკონცენტრირებული სააგენტოების რესტრუქტურირებაც და ეცადა მრავალსექტორიანი სააგენტოების ინტეგრირებას. რეგიონული განვითარების მიზნებისთვის დეკონცენტრირებული სააგენტოების მნიშვნელობის გათვალისწინებით, ჩანს, რომ რესტრუქტურირაციას დიდი გავლენა აქვს ეროვნული ხელისუფლებების მიერ რეგიონული პოლიტიკის განხორციელების საშუალებებზე.

ფინეთმა ჩამოაყალიბა ახალი ELY (ეკონომიკური განვითარების, ტრანსპორტისა და გარემოს დაცვის) ცენტრები, რომლებსაც დაეკისრათ ის ამოცანები, რაც ადრე დასაქმებისა და ეკონომიკური განვითარების თუ რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრების, ანდა რეგიონული გზების ადმინისტრაციათა ფუნქცია იყო, ასევე ზოგიერთი ის ამოცანაც, რომელსაც სახელმწიფოს პროვინციების ოფისები ასრულებდა. შვედეთში, უფრო ეფექტური დელეგირება მოითხოვს გუბერნატორების, როგორც რეგიონულ დონეზე ეროვნული პოლიტიკის მთავარი კოორდინატორების როლის მკაფიოდ განსაზღვრას. 2009 წელს სახელმწიფომ ჩამოაყალიბა კომიტეტი, რომელსაც, სხვათა შორის, ევალუბოდა, შეემუშავებინა წინადადებები ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული ადმინისტრაციის სტრუქტურათა ჩამოყალიბების შესახებ (რაც უფრო ნათელს, მაკოორდინირებულს და შესაბამისს გახდის რეგიონული ადმინისტრაციების კომიტეტების როლს. მისი დასკვნები ხელმისაწვდომი იქნება 2012 წლის დეკემბრისთვის). დამატებით, ეროვნულ დონეზე, სამი მოქმედი სააგენტო - ეკონომიკური და რეგიონული განვითარების შვედური სააგენტო (NUTEK), შვედური ეროვნული რურალური განვითარების სააგენტო და განვითარების პოლიტიკური სწავლების შვედური ინსტიტუტი გაერთიანდა ორ სააგენტოდ - ეკონომიკური და რეგიონული განვითარების შვედურ სააგენტოდ (*Tillväxtverket*) და განვითარების პოლიტიკის ანალიზის შვედურ სააგენტოდ (*Tillväxtanalys*).

ზოგიერთი ქვეყანა რეგიონული განვითარების სააგენტოების როლს ეროვნული პოლიტიკის გატარებაში ხელდას. ამისი ყველაზე მკაფიო მაგალითია კანადა. შუა 1980-იანებიდან, რეგიონული განვითარების პროგრამების მიწოდება დეკონცენტრირებული ფედერალური რეგიონული განვითარების სააგენტოების (RDAs) მეშვეობით ხდება. სააგენტოებსა და ფედერალურ დეპარტამენტებს შორის არქიტექტურული ბმა გაძლიერდა მეტი ინტერსექტორული პროგრამის ჩართვის შედეგად, მიდგომების განვითარების და შედარებით ასიმეტრიული ტერიტორიული სტრატეგიის ხელშეწყობის მიზნით. 1990-იანებში, მაშინაც კი, როცა ფედერალურ- რეგიონული ბიუჯეტი რაიმე სახის შემცირებას ექვემდებარებოდა, ის მაინც მიმართავდა ტრანსფერებს რამდენიმე ფედერალური პროგრამისა თუ სააგენტოს მიმართულებით მათი ეკონომიკური როლის აღიარებისთვის. თუ, ზოგადად, ფედერალური რეგიონული განვითარების სააგენტოების (RDAs) მიერ განხორციელებული აქტივობები ერთმანეთის მსგავსია (მაგ: აქცენტი SME-ზე, ბიზნესის პირდაპირი დახმარების მიმართ ნდობის შემცირება, ინოვაციებსა და სათემო განვითარებაზე გაზრდილი ფოკუსი), პროგრამირება განიცდის ცვლილებებს რეგიონების მიხედვით ადგილობრივი პირობებისა და სპეციფიკური პრობლემების საპასუხოდ. ფედერალურმა სააგენტოებმა უნდა იმუშაონ ეროვნულ, პროვინციულ და ადგილობრივ სააგენტოებთან, რათა გააუმჯობესონ ნაციონალური ეკონომიკის განვითარების პოლიტიკისა და პროგრამების გავლენა ფედერალური პროგრამების ინტეგრირებული და მულტისექტორული მენეჯმენტის გზით.

რაც მეტად დეცენტრალიზებული და დეკონცენტრირებულია ქვეყანა, მით მეტი მნიშვნელობა აქვს დეცენტრალიზებულ და დეკონცენტრირებულ რეგიონებს შორის კოორდინაციას. ამ ორი პოლიტიკის ურთიერთშემავსებელი ამოცანების გამო, რამდენიმე ქვეყანამ დეცენტრალიზაციისა და დეკონცენტრაციის რეფორმები ერთდროულად ჩატარა. მაგალითად, თითოეულ ფინურ რეგიონში, რეგიონული მენეჯმენტის კომიტეტმა, სახელმწიფოს რეგიონული ადმინისტრაციის თანამშრომლობითმა ფორუმმა და რეგიონულმა საბჭოებმა მიაღწიეს კონსენსუსს რეგიონულ პროგრამებისა და მათი იმპლემენტაციის თაობაზე. ჩილეში, ტერიტორიული მენეჯმენტის პროგრამა (GT) მიზნად ისახავს რეგიონებში მომუშავე სხვადასხვა საჯარო ინსტიტუციების ინიციატივებს შორის სინერჯისა და შერწყმის ხელშეწყობას. თითოეულმა საჯარო ინსტიტუტმა (რეგიონული მმართველობის და დეკონცენტრირებული საჯარო სააგენტოების ჩათვლით) უნდა შეიმუშავოს წლიური სამოქმედო პროგრამა. ეს მხარდაჭერას მოუპოვებს რეგიონალიზაციის და დეცენტრალიზაციის პროცესს რეგიონული ხელისუფლებების შესაძლებლობათა გაძლიერების და კოორდინაციის გაუმჯობესების გზით, რაც ეროვნული მენეჯმენტის გაუმჯობესების პროგრამის ნაწილია. შვედეთის მთავრობამ ხაზი გაუსვა ცენტრალური მთავრობის სააგენტოებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების საჭიროებას რეგიონულ დონეზე, რამდენადაც ორივე - დელეგირების და დეკონცენტრაციის პროგრამები ურთიერთდაკავშირებულია. სახელმწიფომ განსამდგრა კომიტეტი, რომელიც ძალისხმევას მიმართავს, რათა ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული ადმინისტრაციის სტრუქტურა უფრო მკაფიო, კოორდინირებული და ადეკვატური გახდეს.

სივრცითი დაგეგმარების მიზნით, ძირითადად ფუნქციური ლოგიკის გათვალისწინებით, ზოგიერთმა ქვეყანამ ტერიტორიები რამდენიმე რეგიონად დაყო. მაგალითად, 2008 წელს, კორეის მთავრობამ ქვეყნის მთლიანი ტერიტორია ხუთ სუბეკონომიკურ ბლოკად დაანაწილა. თითოეული ეს რეგიონი, 5 მილიონზე მეტი მოსახლეობით, შედგება ორი ან სამი პროვინციისგან (ან, პროვინციული ქალაქისგან) რომლებსაც აქვთ მსგავსი ისტორიული, ეკონომიკური და სოციალური კონტექსტი. ლუქსემბურგის განვითარებული რეგიონები ადმინისტრაციული ძალაუფლების არმქონე წმინდა ფუნქციური ორგანოებია. თუმცა, რეგიონის თითოეული თემი პირდაპირ არის დაკავშირებული რეგიონული გეგმების შემუშავებასა და იმპლემენტაციასთან. მექსიკაში, ხუთი მეზო-რეგიონი, რომლებიც 2001 წელს ფედერალური მთავრობის მიერ სახელმწიფოსა და ფედერალური მთავრობის სექტორულ სამინისტროებს (ე.წ. სეკრეტარიატი) შორის კოორდინაციის გაუმჯობესების მიზნით შეიქმნა, რამდენიმე შტატად გადაჯგუფდა ძირითადად ინფრასტრუქტურის დაგეგმვისა და ეკონომიკის საყოველთაო განვითარების მიზნით. სადღეისოდ, მიუხედავად იმისა, რომ მეზო-რეგიონებს სამართლებრივი საფუძველი არ გააჩნიათ, ხუთიდან ოთხი მეზო-რეგიონი სარგებლობს რეგიონული საკრედიტო ფონდით.

ცხრილი 1.6. დეკონცენტრირებული რეგიონული ორგანოები

ჟვეყანა	ორბანო	წელი	
დეკონცენტრირებული რეგიონული ორგანოები			
პანადა	რეგიონული განვითარების სააგენტოები	შუა-1980	
ჩილე	რეგიონული განვითარების სააგენტოები	2006-07	პროდუქტიული განვითარების რეგიონული პროგრამა
ფინეთი	ELY ცენტრები	2010	
საფრანგეთი	<i>Préfet/პრეფექტურა</i>		სახელმწიფო რეგიონული სტრატეგიის პროექტი
უნგრეთი	რეგიონული განვითარების საბჭო	1996	
ნორვეგია	ინოვაციური ნორვეგია, ნორვეგიის კვლევითი საბჭო		
პორტუგალია	რეგიონული კოორდინაციისა და განვითარების კომისია	1979	რეგიონული სივრცითი გეგმა
შვედეთი	რეგიონული ადმინისტრაციული კომიტეტები (CAB)		რეგიონული ზრდის პროგრამები გარკვეულ რეგიონებში
თურქეთი	გუბერნატორები		
თურქეთი	რეგიონული განვითარების სააგენტოები	2006	
გაერთიანებული სამეფო (ინგლისი)	რეგიონული განვითარების სააგენტოები	1999	ინტეგრირებული რეგიონული სტრატეგია
ფუნქციური რეგიონები ძირითადად სივრცითი და/ან ეკონომიკური დაგეგმარების ფუნქციით			
ბერმანია	რეგიონული დაგეგმვა		სუბლენდის დონეზე
იაპონია	რეგიონული დაგეგმარების საბჭო	2006	რეგიონული სივრცითი სტრატეგია
კორეა	ეკონომიკური რეგიონების განვითარების კომიტეტი	2008	რეგიონული ეკონომიკური გეგმები
ლუქსემბურგი	რეგიონების განვითარება		რეგიონული გეგმა
მაქსიკა	შტატებს შორის მემო რეგიონები	2002	რეგიონული საკრედიტო ფონდი
ნიდერლანდები	რეგიონები	2004	რეგიონული პიკის პროგრამა
ახალი ზელანდია	რეგიონები (კონსოლიდირებული 2007ში 26 დან 14ად)		რეგიონული ეკონომიკური განვითარების სტრატეგია

ინტერ მუნიციპალური/ინტრარეგიონული მმართველობა

ვინაიდან ეკონომიკური აქტივობების მობილობა და ურთიერთდამოკიდებულება იზრდება, არსებული ადმინისტრაციული იურისდიქცია (ძირითადად მუნიციპალიტეტები, მაგრამ ზოგჯერ მუნიციპალურ დონეზე ზემოთაც), ხშირად უფრო მცირეა, ვიდრე ადგილობრივი ხელისუფლება მართებულად მიიჩნევს. სტანდარტულ დასაბუთებად ადგილობრივი სივრცეების ხელახლა განსაზღვრისთვის კვლავ რჩება მასშტაბური ეკონომიის და კრიტიკული უმრავლესობის მიღწევის საჭიროება ტერიტორიული გარე ეფექტების გათვალისწინებასთან ერთად. ეს აქტორები ხელახლა განსაზღვრავს მათი ტერიტორიების საზღვრებს ისეთ ფაქტორებზე დაყრდნობით, როგორცაა საერთო ეკონომიკური მახასიათებლები, ბუნებრივი რესურსები და საერთო იდენტობა. ერთობლივი თანამშრომლობის მოსალოდნელი შედეგი ხარჯების დაზოგვის ნაცვლად განსხვავებული, ან მაღალი ხარისხის სერვისებია (OECD/ეთგო, 2009a, 2006b).

შეუსაბამოები ადმინისტრაციულ და ფუნქციურ რეგიონებს შორის როგორც წესი, მეტროპოლიებისთვის წარმოადგენს უფრო დიდი გამოწვევას, ვიდრე რურალური სივრცეებისთვის. მეტროპოლიური მმართველობის ფუნქციური მოდელი ბევრ OECD/ეთგო ქვეყანაშია მხარდაჭერილი. მოდელი ეფუძნება ფუნქციური ეკონომიკური სივრცის დონის მმართველობას და მოიცავს სექტორშორის კონკურენტუნარიანობას და კომპეტენციებს, ან მეტროპოლიური ლოგიკის მქონე სივრცეებს. (მაგ: ტრანსპორტი, საცხოვრებელი პირობები,

ინვესტიციების ხელშეწყობა და ტურიზმი). ზოგიერთი გადაწყვეტილება რეგიონულ დონეზე ცენტრალური, ფართო რეგიონული ანდა ადგილობრივი ხელისუფლებისგან განსხვავებულად, ავტონომიური უფლებამოსილების ფარგლებში მიიღება. ეს მიზნად ისახავს ერთიანი სერვისების მიწოდების სივრცეებში ეკონომიკის მასშტაბების გაზრდის გენერირებას, მეტ ფასთა თანაბრობას და ნაკლებ სოციალურ სეგრეგაციას მთელი მეტროპოლიური რეგიონის მასშტაბით. ამასთან, უფრო ეფექტურ სტრატეგიულ დაგეგმარებას და სექტორულ პოლიტიკათა ინტეგრაციას. მეტროპოლიური მოდელის პირობებში არის იმედი, რომ გაიზრდება მეტროპოლიური რეგიონის პოლიტიკური ძალა როგორც საერთაშორისო დონეზე, ისე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში. მეორეს მხრივ, რურალურ ზონებსაც ჭირდება მინიმალური საჭარო სერვისებით უზრუნველყოფა, რადგანაც მათ მოსახლეობის შემცირების და მისი თანამდევი ფისკალური შეზღუდვების პრობლემა უდგათ. ინტერმუნციპალური თანამშრომლობა ხშირად მხარდაჭერილია, როგორც ამ პრობლემათა გადალახვის შესაძლებლობა.

გარდა რეგიონული მმართველობის ჩამოყალიბებისა, OECD/ეთგო ქვეყნების ბევრი მთავრობა დიდ ძალისხმევას მიმართავს კოორდინაციის და თანამშრომლობის ნებაყოფლობითი ინსტრუმენტებისკენ. (ცხრილი 1.7). მართავს რა შეუსაბამობებს ადმინისტრაციულ და ფუნქციურ სივრცეებს შორის, ინარჩუნებს კეთილსინდისიერ საჭარო სერვისებს. ამასთან, კოორდინაცია გონივრულ ფარგლებში შეიძლება მიღწეული იყოს, დასახული რეფორმის მასშტაბიდან გამომდინარე, მოდელთა სხვადასხვაობითაც.

ცხრილი 1.7. ინტერ მუნციპალური თანამშრომლობა

ინტერ მუნციპალური თანამშრომლობა	
ავსტრია	მიკრო რეგიონები (მაგ: სივრცითი დაგეგმარება, ბიზნესის ხელშეწყობა)
კანადა	სპეციალური სააგენტოები, ერთობლივი კომიტეტები, (მაგ: ჰოსპიტალის მსგავსი საჭარო სერვისები)
ჩეხეთის რესპუბლიკა	მიკრო რეგიონები (განათლება, სოც.დაცვა, ჯანდაცვა, კულტურა, გარემოს დაცვა, ტურიზმი)
ფინეთი	ერთობლივი მუნციპალური კომიტეტები (მაგ: სპეციალიზებული ჯანდაცვა, ფიზიკური დაგეგმარება)
საფრანგეთი	ინტერ კომუნალური თანამშრომლობა (EPCI), საფასური (მაგ: ეკონომიკური განვითარება, საცხოვრებელი პირობები/განსახლება და ურბანული დაგეგმარება საჭარო სერვისები, გარემოს დაცვა.
გერმანია	რეგიონული დაგეგმვა (მაგ: რეგიონული ინფრასტრუქტურა, დასახლების სტრუქტურა)
საბერძნეთი	ადგილობრივი მუნციპალიტეტებისა და თემთა გაერთიანებები
უნგრეთი	მიკრო რეგიონები (მაგ: რეგიონული განვითარება)
ნორვეგია	ინტერ მუნციპალური თანამშრომლობა
პორტუგალია	მუნციპალიტეტების დაჯგუფება NUTS 3 დონეზე
ესპანეთი	მუნციპალური თემები (მაგ: წყალი, ნარჩენების განთავსება)
შვედეთი	ადგილობრივი ფედერაციები, ერთობლივი კომიტეტები (მაგ: საჭარო სერვისები)
შვეიცარია	“რეგიონები”, სინდიკატები (მაგ: წყლის ფილტრაცია, საჭარო ტრანსპორტი)
გაერთიანებული სამეფო	ადგილობრივი და მრავალსივრციანი შეთანხმებები
შპართავალი შტატები	განსაკუთრებულ დასახლებათა მთავრობები, ეკონომიკური განვითარების ადმინისტრაციები
მეტროპოლიური თანამშრომლობა	
ფინეთი	რეგიონული ცენტრის პროგრამა
საფრანგეთი	აგლომერაციული თემები, ურბანული თემები

პირა	მეტროპოლიტური ქალაქის გეგმა, მეტროპოლიტური განვითარების პროექტის გეგმა
ლუქსემბურგი	კონვენციური არაფორმალური შეთანხმებები
მეხსია	ინტერ მუნიციპალური ასოციაციები (მაგ: წყალი, კანალიზაცია, საზოგადოებრივი წესრიგი, საზოგადოებრივი ტრანსპორტი) f Valle de Mexico მეტროპოლიტური კომისია და მისი მეტროპოლიტური საკრედიტო ფონდი
ნიდერლანდები	WGR დამატებული რეგიონები
გაერთიანებული სამეფო	ურბანული ან ქალაქ რეგიონის სტრატეგია

- **რეგიონული/მეტროპოლიტური მმართველობის ჩამოყალიბება:** ფუნქციური მოდელები, რის საფუძველზეც იცვლება მმართველობითი სტრუქტურა, მორგებული ან მიახლოებულია ფუნქციურ ეკონომიკურ სივრცესთან. ზოგ შემთხვევებში მუნიციპალიტეტები აგრძელებენ არსებობას, სხვა შემთხვევებში კი ისინი ინტეგრირებულნი და გარდაქმნილნი არიან (მაგ შერწყმა დანიაში, რეგიონული/მეტროპოლიტური მმართველობა/მთავრობა ლონდონში (გაერთიანებული სამეფო)) შტუტგარტი (გერმანია) და პორტლენდი (შვედეთის შტატები)
- **მუნიციპალიტეტების შერწყმა:** ხშირად მცირე მუნიციპალიტეტების დანაწევრების გვერდის ავლა სახელმწიფოს მხრიდან დამატებითი რგოლების გაზრდის გარეშე ხერხდება. მუნიციპალიტეტების შერწყმა ადგილობრივი ხელისუფლებების ეფექტურობის გაზრდის გზაა. იაპონიაში, ეროვნულმა მთავრობამ ხელი შეუწყო მუნიციპალიტეტების შერწყმის ინიციატივებს. ადგილობრივი თვითმმართველობების რიცხვი 1999 წელს არსებული 3232-დან 2008 წლის მარტი 1795-მდე შემცირდა. შერწყმის მორიგი რაუნდის პირდაპირი მოტივაციები იყო: დეცენტრალიზაციის შემდგომი ხელშეწყობა, პასუხი/რეაქცია დემოგრაფიულ ცვლილებებზე (კონკრეტულად, მოსახლეობის დაბერებაზე), მობილობის/ცვლილებების წახალისება და რეაქცია სერიოზულ ფისკალურ შეზღუდვებზე ცენტრალურ და სუბნაციონალურ დონეებზე. დანიის 2007 წლის სტრუქტურული რეფორმა მიზნად ისახავდა სუბნაციონალური მთავრობების საქმიანობის გაუმჯობესებას მათი მოცულობის გაზრდის საშუალებით. მუნიციპალიტეტებს მოსთხოვეს ერთმანეთთან თანამშრომლობა ან შერწყმა ისე, რომ თითოეული მმართველი (თვითმმართველი) ერთეულის მოსახლეობის რაოდენობას 20 000-ისთვის მიეღწია. მუნიციპალიტეტების შერწყმის ტალღის შედეგად მუნიციპალიტეტების რიცხვი 271-დან 98-მდე შემცირდა.
- **დასახლებათა სპეციალური მმართველობის ან ინტერმუნიციპალური ერთობლივი ორგანოების ჩამოყალიბება კონკრეტული ან მრავალჯერადი მიზნებისთვის:** არსებობს ნებაყოფლობით საფუძველზე თანამშრომლობითი ღონისძიებების ფართო დიაპაზონი, რისი ძირითადი ფუნქციებიც უმთავრესად მოიცავს ტრანსპორტს, ურბანულ დაგეგმარებას ან ეკონომიკურ განვითარებას. შვედეთის შტატებში, დასახლებათა სპეციალური მმართველობა, როგორც წესი, შექმნილია განსაკუთრებულ საკითხებზე ხანდახან ორი შტატის ფარგლებში მოქცეულ მუნიციპალიტეტებს შორის გეოგრაფიული კოორდინაციისთვის (მაგ: განათლება, ტრანსპორტი და წყალგამყოფი). ბევრი მათგანი დაფინანსებას იღებს სპეციალური საგადასახადო ზომების, მოსაკრებლების და ვალდებულებების გავლით. მსგავსი სპეციფიკური დასახლებების კომიტეტები, როგორც წესი, შედგება მუნიციპალური საბჭოების წარმომადგენლებისგან. გამონაკლისია მხოლოდ სასკოლო კომიტეტები, რომლებიც ძირითადად პირდაპირი გზით არის არჩეული. ესპანეთში, მუნიციპალიტეტების კომიტეტები (*mancomunidades de municipios*) რამდენიმე ადგილობრივ ხელისუფლებას შორის საქმიანობას ახერხებენ როგორც განსაკუთრებული დასახლებები სპეციფიკური საჯარო სერვისების მისაწოდებლად, როგორცაა წყალი ან ნარჩენების განთავსება. მათი წარმატება მათსავე მოქნილ ორგანიზებაზეა დამოკიდებული.
- **პლატფორმები, ასოციაციები ან სტრატეგიული დაგეგმარების პარტნიორობები:**

არაფორმალური მაკოორდინირებელი ორგანოები ხშირად ეყრდნობიან არსებულ ქსელებს. მაგალითად, ჩეხეთის რესპუბლიკაში ურბანული განვითარების სამუშაო ჯგუფები ორგანიზებულია ურბანული განვითარების კოორდინირებისთვის.

- **კონტრაქტები, სერვისების ბირჟები (წმინდა ფინანსური გარიგებები):** სერვისის მიწოდება კომპენსაციის სანაცვლოდ. გამორჩეული მაგალითია შვეიცარიის კანტონთა შორის კონტრაქტები (*concordats*) ძირითადად უნივერსიტეტებისთვის და ჰოსპიტალური მოვლის სერვისებზე.

სპეციალურად ურბანულ სივრცეებზე მორგებული თანამშრომლობის მოდელები ხელშეწყობილია ზოგიერთ OECD/ეთგო წევრ ქვეყანაში. საფრანგეთში, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობა როგორცაა *communautés d'agglomération* and the *communautés urbaines* მძლავრად არის სტიმულირებული საგადასახადო შემოსავლებით ან სახელმწიფოსგან მიღებული ინტერკომუნალური გრანტებით, რომლებიც 1999 წელს მიღებულ სამ კანონს ეფუძნება: ეროვნული ტერიტორიული დაგეგმარებისა და მდგრადი განვითარების აქტს, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის გაძლიერებისა და გამარტივების აქტს და ურბანული სოლიდარობისა და განვითარების აქტს. 1995 წლიდან ნიდერლანდებს აქვს ფორმალური მუნიციპალური თანამშრომლობის სტრუქტურა სახელად „ქალაქი-რეგიონები“, რაც ეფუძნება ე.წ. „პლუს ერთობლივი ღონისძიებების აქტს“ (WGR პლუს რეგიონები). პროვინცია ოფიციალურად განსაზღვრავს ქალაქი-რეგიონის ტერიტორიას, რომელიც შედგება დიდი ქალაქისა და მისი გარშემო მუნიციპალიტეტებისგან, რომლებიც ერთი და იმავე ურბანული სისტემის ნაწილი არიან. მიუხედავად იმისა რომ, როგორც წესი, არ არსებობს სისტემური ეროვნული ჩარჩო მეტროპოლიურ დონეზე ასოციაციის ფასილიტაციისთვის, ფედერალურ ქვეყნებში, OECD/ეთგო-ს მასშტაბით, რამდენიმე საინტერესო მაგალითია განხილული (2006b) (მაგ: შტუტგარტის რეგიონული ასოციაცია გერმანიაში, მეტრო პორტლანდი შეერთებულ შტატებში და მონრეალის მეტროპოლიური თემი და ვანკუვერის დიდი რეგიონული დასახლება/რაიონი კანადაში)

მიუხედავად მუნიციპალურ დონეზე გატარებული ზომებისა, ზოგიერთ ქვეყანას აქვს ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ფასილიტაციის ზოგადი ჩარჩო. მაგალითად, ფინეთის 2006 წლის ადგილობრივი მმართველობის და სერვისების რესტრუქტურირების აქტი. აქტის შესაბამისად, იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტმა განახორციელოს ჯანდაცვის საბაზისო სერვისების მიწოდება, მას სულ მცირე 20 000 მცხოვრები უნდა ჰყავდეს, ხოლო პროფესიული განათლების უზრუნველსაყოფად - 50 000 მცხოვრები. აქტი განსაზღვრავს, რომ მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ აირჩიონ, თუ როგორ უნდა შეასრულონ ეს პირობა, ან 1) ერთი, ან რამდენიმე მუნიციპალიტეტის ნებაყოფლობითი შერწყმა; 2) ერთ, ან მეტ მეზობელ მუნიციპალიტეტთან ერთად ერთობლივი მუნიციპალური კომიტეტების ორგანიზება; ან 3) უფრო დიდი მუნიციპალიტეტებისგან სერვისების შესყიდვა. შერწყმა დაიწყო 2009-ში და ფინანსური სტიმულირების მიმდინარე სქემა 2013 წლამდე გრძელდება. ნორვეგიამ შესწორებები შეიტანა ადგილობრივი მმართველობის აქტში 2006 წელს, რათა გაეფართოებინა იმ საქმიანობათა ნუსხა, რაც შეიძლება მუნიციპალიტეტიდან და ოლქის საბჭოდან დელეგირებული იყოს ინტერმუნიციპალურ თანამშრომლობის ორგანოზე. მუნიციპალიტეტს შეუძლია ასევე გარკვეული საქმე და საჯარო სერვისის მიწოდების ვალდებულება გადააბაროს სხვა მუნიციპალიტეტს (მიმღები მუნიციპალიტეტი). მუნიციპალიტეტებს შორის მსგავსი თანამშრომლობა იშვიათად თუ მიგვიყვანს ნებაყოფლობით შერწყმამდე. შერწყმის ხელშეწყობად, სახელმწიფო სტიმულირებას მიმართავს.

შეფასება და მონიტორინგი: ეფექტურობა და ანგარიშვალდებულება

ეფექტურობისა და ანგარიშვალდებულების საკითხები იწყება რეგიონული პოლიტიკის შექმნისა და ადმინისტრაციულ რგოლებს შორის პასუხისმგებლობის გადანაწილების მოდიფიკაციის მომენტიდან. მრავალდონიანმა და კორიზონტალურმა მმართველობის სისტემამ,

რომელსაც კოორდინაციის მიზნით ბევრი წარმომადგენელი იყენებს, შესაძლოა წარმოშვას გამჭვირვალობის და შეფასების პრობლემები. შეფასება და მონიტორინგი პოლიტიკის დღის წესრიგის სათავეშია მოქცეული, თუმცა შეზღუდული ბიუჯეტით. უმრავლეს შემთხვევაში, აქცენტს შეფასებაზე თან ახლავს მონაცემთა შეგროვებისა და ინდიკატორების სისტემის შექმნისკენ მიმართული გაზრდილი ძალისხმევა. ინდიკატორების სისტემის გამოყენებით ჩატარებულ შეფასებასა და მონიტორინგს აქვს უნარი შეამციროს საინფორმაციო ასიმეტრია მმართველობის დონეებს შორის და კარგი საშუალებაა როგორც გამოცდილების გაზიარებისთვის, ისე ცენტრალური ხელისუფლების დასახმარებლად სუბნაციონალური ორგანოებისთვის ცოდნის გადაცემის და უკეთესი საქმიანობის ნახალისების საქმეში (OECD, 2009b).

პოლიტიკათა იმ ნაწილისთვის, რომლებიც ცალსახად აქცენტს აკეთებენ სამართლიანობაზე, გამოკვეთილი მიზნისკენ მიმართული პროგრესის ფაქტობრივი *ex post* შეფასება უფრო სწორხაზოვანია. თუმცა, ეკონომიკური განვითარებისთვის, ანალიტიკური განყოფილება არის სივრცე სადაც შესაძლებელია კომპლექსური შეფასებების გაკეთება. სავარაუდო წინასწარი *Ex ante* შეფასება კონკურენტუნარიანი გრანტების საფუძველია და თუ შეფასების მასალა არასაკმარისია, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება რთულდება. შეფასებისა და მონიტორინგის სისტემა, შესაძლოა, მოქნილიც იყოს, რომ პოლიტიკის შემქმნელებმა შეძლონ თავისუფალი ამოცანების დასახვა კონტექსტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე. სასურველია, გავაცალკევოთ შეფასებისთვის განსაზღვრული რესურსები საოპერაციო ფონდისგან, რამდენადაც, ეს უკანასკნელი გამოუყენებლობის შემთხვევაში დაბრუნებას ექვემდებარება. პროექტის დაფინანსების მოთხოვნაში განსაზღვრული უნდა იყოს, როგორ იქნება შენარჩუნებული მონიტორინგის სისტემა, განსაკუთრებით იმ დროს, როცა მონიტორინგის შედეგები სანქციებს და დაჯილდოებას უკავშირდება.

სამომავლო მიმართულებები

ზოგიერთმა ქვეყნამ გააცხადა მათი რეგიონული პოლიტიკის სამომავლო მიმართულებების შესახებ (ცხრილი 1.8). რეგიონული პოლიტიკის ახალი ჩარჩო დოკუმენტები მზადდება ავსტრიაში, ჩეხეთის რესპუბლიკასა და პოლონეთში. დეცენტრალიზაციის შემდგომი ხელშეწყობა მიმდინარეობს ბევრ ქვეყანაში - ჩილეს, ფინეთის, საბერძნეთისა და უნგრეთის ჩათვლით. მათ შორის, ხშირია დისკუსიები რეგიონული დონის ხელისუფლებების ძალაუფლების გაძლიერების შესახებ. დეცენტრალიზაციის მიმართულებასთან ერთად, ზოგიერთი ქვეყანა მიმართავს ცენტრალიზებული ხელისუფლებისა და მისი დეცენტრალიზებული სააგენტოების სტრუქტურათა ხელახლა განსაზღვრასაც. მთელი ადგილობრივი მმართველობის სისტემის უფრო დინამიური ცვლილება განიხილება კორეასა და ლუქსემბურგში.

ცხრილი 1.8. სამომავლო მიმართულებები (განხილვა)

რეგიონული პოლიტიკის ჩარჩო	აგსტრია	მზადება ახალი სივრცითი განვითარების კონცეფციისთვის
	ჩეხეთის რესპუბლიკა	მზადება ჩარჩოსთვის ჩეხეთის რესპუბლიკის პოზიცია 2013 წლის შემდგომი პერიოდისთვის
	ფინეთი	შესწორება რეგიონული განვითარების აქტში (ჰორიზონტალური და ვერტიკალური პოლიტიკის კოორდინაციის გასაუმჯობესებლად)
	ახალი ზელანდია	ეროვნულად მნიშვნელოვანი რეგიონული პროექტებისა და სტრატეგიების იდენტიფიკაცია
	პოლონეთი	ეროვნული რეგიონული განვითარების სტრატეგია, რაც მოიცავს ახალ ტერიტორიულ კონტრაქტებს, განსაზღვრავს სივრცეებს სტრატეგიული ინტერვენციებისთვის და წარადგენს მეტ სისტემურ სექტორულ და პროგრამულ კოორდინაციას; ეროვნული სივრცითი სტრატეგია
	სლოვაკეთის რესპუბლიკა	რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგიის ჩამოყალიბება, შესწორება 2001 წლის სლოვაკეთის სივრცითი განვითარების პერსპექტივაში
	შვეიცარია	სივრცითი დაგეგმარების რეფორმა ეროვნული კონცეფციის მომზადების ჩათვლით
	თურქეთი	რეგიონული განვითარების ეროვნული სტრატეგია და მცირემასშტაბიანი რეგიონული გეგმები
დეცენტრალიზაცია	ჩილე	მუნიციპალური რეფორმა, რეგიონული საბჭოების დემოკრატიზაცია, რეგიონულ და მუნიციპალურ ხელისუფლებებზე უფლებამოსილების გადაცემა, სუბნაციონალური ხელისუფლების შესაძლებლობების განვითარება
	ფინეთი	ALKU ადმინისტრაციული რეფორმა (რეგიონულ საბჭოებზე ვალდებულებების გადაცემა)
	საფრანგეთი	2009 წლის ბალადურის ანგარიში (Balladur Report) ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმის შესახებ, რაც მიზნად ისახავს კომპეტენციებისა და ფინანსური ვალდებულებების გამიჯვნას ადმინისტრაციულ რგოლებს შორის, თანადაფინანსების შეზღუდვა, დიდი მუნიციპალიტეტების (<i>métropoles</i>) სტატუსის გაზრდა, ინტერმუნიციპალური თანამშრომლობის ხელშეწყობა
	საბერძნეთი	კალიკრატის (KALLIKRATIS) გეგმა, რეგიონული დონის გუბერნატორების არჩენის და მუნიციპალიტეტების შერწყმის ჩათვლით
	უნგრეთი	რეგიონების როლის გაძლიერება
	იტალია	ფისკალური ფედერალიზმის განხილვა
	ნიდერლანდები	პროვინციებად და მუნიციპალიტეტებად დეცენტრალიზაცია საბიუჯეტო ტრანსფერებისა და ადგილობრივი გადასახადების გაზრდის ჩათვლით, ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის მოვალეობების განაწილება
	ნორვეგია	ოლქებზე ახლად გადაცემული უფლებამოსილების იმპლემენტაცია
	პოლონეთი	ურთიერთობა სახელმწიფოსა და რეგიონებს შორის, რეგიონების ფინანსური საფუძველი ოლქის ეფექტურობა
ესპანეთი	დეცენტრალიზაცია რეგიონისა და მუნიციპალიტეტის გაზრდილი ავტონომიის მიმართულებით	
ადმინისტრაციული რაიონების ცენტრალურ დონეზე და ეროვნული სააგენტოები	ბელგია ვალონია (Wallonia)	სააგენტოების შერწყმის მიმოხილვა
	შვედეთი	როგორ ყალიბდება ცენტრალური ხელისუფლების რეგიონული ადმინისტრაცია (დეცენტრალიზაციის და დეკონცენტრაციის კოორდინაცია)
	ირლანდია	სახელმწიფო დეპარტამენტებისა და სააგენტოების სტრუქტურისა და მოვალეობების გადახედვა
ადგილობრივი ხელისუფლების სისტემა	კორეა	სამდონიანი ადმინისტრაციული სტრუქტურის გამარტივება, ადმინისტრაციული რაიონების/დასახლებების მოცულობის გაზრდა
	ლუქსემბურგი	კანტონებისა და რაიონების გაუქმება, ურბანული თემების წარდგენა
სხვა	შვედეთი	ფისკალური გათანაბრების სისტემის ხელახალი განხილვა

დასკვნები და შემდგომი კვლევის სფეროები: პოლიტიკის ინდიკატორების შემუშავების მიმართულებით

რეგიონული პოლიტიკის ცვლილების რეალურობის გამოსაცდელად და პარადიგმის იმპლემენტაციის გასაზომად მნიშვნელოვანია გვესმოდეს ის ფაქტორები, რაც თითოეული ქვეყნის რეგიონული პოლიტიკის სარჩულია, ვიცოდეთ მმართველობის სტრუქტურა, ამოცანები, რომელთა მიღწევაც არის დასახული (OECD, 2007d). წინამდებარე პუბლიკაცია გვთავაზობს პასუხებს ამ შეკითხვებზე OECD/ეთგო წევრი ქვეყნების რეგიონული განვითარების პოლიტიკის შედეგების გზით. ეს არის პირველი შემთხვევა, როცა OECD/ეთგო საკუთარ თავზე იღებს რეგიონული პოლიტიკის მონაცემთა სისტემურ შეკრებას. ეს კი საშუალებას მოგვცემს გაგზომოთ ხარისხი, თუ რამდენად თანხმობაშია რეგიონული პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტები კონკურენტუნარიანობის აქცენტთან. აღსანიშნავია, რომ ევროპული ქვეყნების პოლიტიკის გადასვლა ახალ პარადიგმაზე მხარდაჭერილია ლისაბონის პროგრამის ახალი მიმართულებით. ქვეყნების რეგიონული განვითარების პოლიტიკის სტრატეგიათა სისტემატური მიმოხილვა რეგულარულად უნდა განახლდეს და გადამუშავდეს.

ამასთანავე, მომავალში უნდა შემუშავდეს და გადამოწმდეს პოლიტიკის ინდიკატორები, რომლებიც, შესაძლოა, გადანყვეტილების მიღების პროცესში გამოდგეს. უნდა გაანალიზდეს ურთიერთობებიც - მაგალითად, პოლიტიკის ამოცანებსა და პოლიტიკის ინსტრუმენტებს შორის შეთანხმებული კავშირი. უნდა ვკითხოთ საკუთარ თავს: რა საკითხები უნდა გავითვალისწინოთ, როცა ვაყალიბებთ და დროდადრო ვაუმჯობესებთ ინდიკატორების სისტემას? ძირითადი განსახილველი პუნქტები უნდა იყოს:

სისტემის მონიტორინგის ამოცანები: ცოდნის გადაცემის ფასილიტაცია და რეგიონული განვითარების პოლიტიკის საქმიანობათა გაუმჯობესება.

ღირებულებები, რომელსაც ხელი უნდა შეუწყოს ინდიკატორებმა: რომელ ღირებულებებს უნდა შეუწყოს ხელი ინდიკატორების შემუშავებამ? უნდა იყოს თუ არა ეს თანხმობაში ახალი რეგიონული პოლიტიკის პარადიგმასთან და მის სხვადასხვა განზომილებებთან (მაგ: ადგილმდებარეობით განპირობებული მიდგომა, პოლიტიკის ამოცანებსა და ინსტრუმენტებს შორის შეთანხმებული კავშირი, პროაქტიული პროგრამული მიდგომა)?

ინფორმაციის შეკრების მეთოდი: უნდა მოიცავდეს ქვეყანათა პროფილებს და კითხვარებს რათა ხარისხობრივი ინფორმაციის რაოდენობაში გადაყვანა ნაკლებად სუბიექტური გახდეს.

ინდიკატორების შერჩევა: რომელი ინდიკატორები უნდა ინტეგრირდეს? როგორ უნდა აისახოს გამორჩენილი ინფორმაცია ქვეყნის პროფილზე? უმჯობესი იქნება, თუ დავინყვებთ მცირე, ნაკლებად რთული ინდიკატორების კომპლექტიდან, რომელიც საბაზისო ინდიკატორების როლს შეასრულებს და დაზუსტდეს, ან გაფართოვდეს შემდგომ ფაზაზე. ეროვნული კონტექსტის მრავალფეროვნებიდან გამომდინარე, სტანდარტული შედეგებითი ინდიკატორების ბირთვი უნდა შეიცვლოს ქვეყნისთვის სპეციფიკური ინდიკატორებით (მაგ: ფედერალური ან უნიტარული)

გაერთიანება: როგორ უნდა მოხდეს ინდიკატორების გაერთიანება? რა წონა უნდა მიენიჭოს თითოეულ ინდიკატორს?

ექსპერიმენტის საფუძველზე, შეიძლება შედგეს ინდიკატორების ორი ნაკრები: პოლიტიკის ინდიკატორები (ვიწრო გაგებით) და ინსტიტუციური ინდიკატორები.

პოლიტიკის ინდიკატორები: რა მოცულობით ახდენენ ქვეყნები პოლიტიკის და პროგრამების იმპლემენტაციას ახალ პარადიგმასთან შესაბამისობაში?

პრობლემის გაცნობიერება და ამოცანები:

- რა არის რეგიონული პრობლემები და გამოწვევები? თვლის თუ არა ქვეყანა გამოწვევად კონკურენტუნარიანობას?
- რა არის რეგიონული პოლიტიკის ძირითადი ამოცანები? მიაკუთვნებს თუ არა ქვეყანა კონკურენტუნარიანობას ან ენდოგენური განვითარებას ამ ამოცანებს?

პოლიტიკის ინსტრუმენტები:

- მიღებულია პროგრამული მიდგომა?
- მიღებულია ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული მიდგომა? (მეტროპოლიური პოლიტიკის, რურალური პოლიტიკის, პოტენციური/შესაძლებლობების სივრცის პოლიტიკის (მაგ: ჩამორჩენილი ზონების) მეჩხერად დასახლებული ზონების პოლიტიკის არსებობა ან არარსებობა) როგორ უნდა შეუხამონ ქვეყნებმა ადგილმდებარეობაზე დაფუძნებული პოლიტიკა კონკურენტუნარიანობასა და სამართლიანობის ამოცანებს?

ინსტიტუციური ინდიკატორები: გამოხატავს თუ არა ქვეყანა ინიციატივას, ხელი შეუწყოს ერთიანი, სექტორშორისი მიდგომის გამოყენებას რეგიონული განვითარების პოლიტიკის მიმართ?

მმართველობა:

- რამდენ და რომელ მექანიზმებს იყენებს ქვეყანა ჰორიზონტალური მმართველობის მისაღწევად?
- რამდენ და რომელ მექანიზმებს იყენებს ქვეყანა ვერტიკალური მმართველობის მისაღწევად?
- აქვს თუ არა ქვეყანას დეცენტრალიზებული ან დეკონცენტრირებული ორგანოს მიერ შემუშავებული რეგიონული განვითარების სტრატეგია?
- რამდენ და რომელ მექანიზმებს იყენებს ქვეყანა ინტერმუნიციპალური თანამშრომლობისთვის?

ფინანსური ასპექტები:

- აღემატება თუ არა ქვეყნის სუბნაციონალური შემოსავალი OECD/ეთგო საშუალო მაჩვენებელს?
- აღემატება თუ არა ქვეყნის სუბნაციონალური ინვესტიცია (ან დანახარჯი) OECD/ეთგო საშუალო მაჩვენებელს?

მნიშვნელოვანია, განვასხვავოთ რიტორიკა პოლიტიკის რეალური იმპლემენტაციისგან. როგორც წინამდებარე თავშია მოთხრობილი, პარადიგმის ცვლილება ბევრმა ქვეყანამ შეიტანა საკუთარი პოლიტიკის ამოცანებში, თუმცა, მისი იმპლემენტაცია გამოწვევად რჩება. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტიკის ამოცანების ცვლილებას თან არ ახლავს ცვლილებები პოლიტიკის ინსტრუმენტებში. მაგალითად, სამინისტროთაშორისი კომიტეტის არსებობა არ შეიძლება პირდაპირ აღვიქვათ, როგორც ერთიანი სექტორშორისი პოლიტიკის შექმნა. მეორე მნიშვნელოვანი საკითხია კავშირი პოლიტიკის ინდიკატორებსა და აღსრულების ინდიკატორებს შორის. როგორ შეგვიძლია უკეთ დავაკავშიროთ რეგიონული ეკონომიკის მონიტორინგისთვის განკუთვნილი სანდო სტატისტიკური ინფორმაცია, რომელიც შეკრებილია OECD/ეთგო გამოცემიდან: რეგიონები ერთი შეხედვით (*Regions at a Glance*) პოლიტიკის ინდიკატორებთან?



კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი
ოთარ ჩხეიძის #5 თბილისი 0177, საქართველო
(995 32) 2 20 67 74/75

www.ctc.org.ge

ctc@ctc.org.ge

